პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 56 (18298) ორშაბათი, 8 მარტი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

ეროვნული სიამაყე

ეროვნული სიამაყის გრძნობა! რაოდენ სათუთი და შთამბეჭდავი, რაოდენ ამაღლებული და ღრმა შინაარსის შემცველია. ეს გრძნობა განუზომლად ამდიდრებს ადამიანის სულიერ სამყაროს.

ადამიანები ყოველთვის სოციალურ გარემოში ცხოვრობენ, ავითარებენ ერთმანეთთან ურთიერთობის ფორმებს, საკუთარ მატერიალურ და სულიერ კულტურას, ეუფლებიან მეცნიერულ ცოდნას, იმუშავებენ ეთიკურ ნორმებს, ესთეტიკურ ღირებულებებს. სწორედ ეს შობს ადამიანთა მაღალ მოთხოვნილებებსა და მათთან დაკავშირებულ გრძნობებს.

ჯერ კიდევ ჩვენი ეპოქის გარიჟრაჟზე ვლადიმერ ილიას ძე ლენინი წერდა: „უცხოა თუ არა ჩვენთვის, ველიკო რუსი შეგნებული პროლეტარიატისათვის ეროვნული სიამაყის გრძნობა? რა თქმა უნდა, არა! ჩვენ გვიყვარს ჩვენი ენა და ჩვენი სამშობლო, ჩვენ ყველაზე მეტად ვმუშაობთ იმისათვის, რომ მისი მშრომელი მასები (ე. ი. მისი მოსახლეობის ცხრა მეათედი) ავამაღლოთ დემოკრატებისა და სოციალისტების შეგნებულ ცხოვრებამდე".

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის პროცესში მომხდარმა ეროვნულ ურთიერთობათა ძირეულმა გარდაქმნებმა ახალი შინაარსი შესძინა, ახალი სული შთაბერა საბჭოთა ადამიანების ეროვნული სიამაყის გრძნობას.

კომუნისტური პარტია მტკიცედ და თანამიმდევრულად იცავს ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ეროვნულ და სოციალურ ინტერესებს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მე-60 წლისთავის შესახებ" ნათქვამია: „მუშათა კლასის, უფართოესი მასების ძირეული ინტერესების დაუცხრომელი დაცვით, კომუნიზმის იდეალების ერთგულებით, ყველა ხალხის ეროვნული ინტერესებისა და გრძნობებისადმი უდიდესი ყურადღებით, ბურჟუაზიული ნაციონალიზმის, შოვინიზმისა და ეროვნული ნიჰილიზმის ყოველგვარი გამოვლინებებისადმი შეურიგებლობით პარტიამ უდიდესი უფლება მოიპოვა იყოს ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების მშრომელთა ბელადი".

ქართველი ხალხი კანონიერად ამაყობს საკუთარი ისტორიით, აწმყოთი და ოპტიმისტურად არის განწყობილი მომავლისადმი.

თავისი მრავალსაუკუნოვანი გმირული და ტრაგიკული ისტორიის მანძილზე, აურაცხელი მსხვერპლისა და გაჭირვების ფასად, მრავალი თაობის საუკეთესო მამულიშვილთა სიცოცხლის ფასად ქართველმა ხალხმა დაამკვიდრა ინტერნაციონალური მეგობრობა და ძმობა, როგორც მისი ეროვნული სიამაყის განუყოფელი, ორგანული ნიშან-თვისება, როგორც თავისი ეროვნული ცხოვრების უზენაესი ფორმა. საქართველოს კომპარტიისა და საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სხდომაზე ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა: „ჩვენს ქვეყანაში ყველგან იციან: საქართველო — ეს არის დედამიწის თვალწარმტაცი კუთხე, სადაც ცხოვრობს გულღია ხალხი, ოდითგან რომ აფასებს კაცურკაცურ კეთილშობილებას, შთაგონებულ შრომას, მხატვრულ ვაჟკაცობას და მხატვრულ მეგობრობას".

სულიერი ღირებულებანი, ქართველი ხალხის ენერგიას და ნიჭს რომ შეუქმნია საუკუნეების მანძილზე, ეროვნულია და ამავე დროს ამდიდრებს ხალხთა საერთო ინტერნაციონალურ კულტურას. აი ქართველი კაცის ეროვნული სიამაყის გრძნობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და დაუშრეტელი წყარო!

ჩვენი რესპუბლიკა რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის სახელოვან იუბილეს ეგებება. ეს იქნება ინტერნაციონალიზმის, ხალხთა დიადი მეგობრობის კიდევ ერთი უთვალსაჩინოესი დღესასწაული, ქართველი ხალხის ეროვნული სიამაყის გრძნობით გამდიდრების მნიშვნელოვანი წყარო.

ახალგაზრდობასთან საახალწლო შეხვედრაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა: „სამშობლოს სიყვარული თუ შერწყმული არ გაქვს მოძმე ხალხების ასევე უსაზღვრო პატივისცემასთან, თუ მზად არა ხარ გამდიდრდე იმ წვლილით, რომელიც სხვა ერებს მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში შეუტანიათ, გამდიდრდე და სათანადოდ დააფასო იგი — ეროვნული კარჩაკეტილობა და პროვინციალიზმია... ეროვნული სიამაყე თავმდაბლობასა და თვითკრიტიკულობას უნდა შეერწყას, საკუთარი წარსულისა და აწმყოს თაყვანისცემა — სხვა ხალხთა დამსახურების აღიარებას".

ეროვნული თავისებურებანი განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში კიდევ უფრო თვალსაჩინო და გამოკვეთილი ხდება. ამიტომაც ეროვნული გრძნობის, ეროვნული ხასიათის უარყოფა იმას ნიშნავს, რომ ქვეყნიერება მეტად ერთფეროვნად წარმოვიდგინოთ. სწორედ ინდივიდუალური თავისებურებანი, სპეციფიკა აახლოვებს ხალხებს ერთმანეთთან, გვაყვარებს ერებს, ეროვნებებს, რომლებთანაც ისტორიულმა ბედმა დაგვაკავშირა. ამდენად ხასიათის ეროვნულ თავისებურებათა და გრძნობათა გამოვლენა, მათი ცოდნა, ამ თავისებურებათა წარმოშობის ისტორიულ პირობებზე დაფიქრება გვეხმარება სხვა ერთა, ეროვნებათა სულიერი სამყაროს გაგებაში. საკუთარი ერის შეგნებული სიყვარული ვერ ურიგდება, ვერ ითავსებს სხვის სიძულვილს.

ჭეშმარიტი ეროვნული სიამაყის გრძნობა სწორედ ის არის, როდესაც სხვებს ამდიდრებ სულიერად და შენც მდიდრდები სხვა ერის მაგალითით.

არ შეიძლება არ გვახარებდეს და ჩვენში ეროვნული სიამაყის გრძნობას არ იწვევდეს ის, რაც ამ ბოლო ათწლეულის მანძილზე საქართველოში მოხდა. პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, რომელიც რესპუბლიკისათვის ზედიზედ მეცხრედ საკავშირო გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას მიეძღვნა, ამის შესახებ მშვენივრად და ნათლად თქვა მწერალმა მუხრან მაჭავარიანმა: „რესპუბლიკის ცხოვრების ყოველ სფეროში სასიკეთო მოვლენების დამკვიდრება, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცება, ზნეობრივი ტაროსის გაუმჯობესება, ჩვენი ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების, სპორტის საქვეყნო წარმატებები, დიდი ეროვნული სამომავლო საქმეების წამოწყებანი: ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობა, ნასოფლარების დასახლება-აღორძინება, მიუვალი ადგილების ელექტრიფიცირება, გზების გაყვანა, ძველი თბილისის განახლება-გაცოცხლება, ჩვენი სახელოვანი წინაპრების ლვაწლის პატივდება, ინტელიგენციისადმი გულისხმიერი დამოკიდებულება, ჩვენი ცხოვრების ჩრდილოვან მხარეებზე გაბედული ლაპარაკის უფლება, — აი, ყოველივე ის, რაც სულიერად ამაღლებს, მომავლის რწმენას მატებს, სახვალიო გმირობისათვის განაწყობს დღეს ქართველ კაცს".

დიახ, დიდი გვაქვს საამაყო, მაგრამ გასაკეთებელიც ბევრია. ჩვენი დღევანდელი დღე კი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ კიდევ უფრო მეტი გავაკეთოთ საყვარელი საქართველოსათვის, ვიამაყოთ ჭეშმარიტად დიდი ეროვნული საქმეებით, მთელი ენთუზიაზმით ვიბრძოლოთ მშობლიური კომუნისტური პარტიის დიად წინასწარდასახულებათა წარმატებით განხორციელებისათვის.

ბროშურად გამოიცა

ბროშურად გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის შესახებ".

ბროშურა პოლიტგამმა გამოსცა. (საქდესი).

დამკვრელური შრომით ვადიდოთ სამშობლო!

შაბათობა გვიხმობს

ფოთი. ჟდანოვის, რიგის, ბაქოსა და კრასნოვოდსკის ნავსადგურების კოლექტივებთან ტრადიციულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული ფოთელი დოკერები წარმატებით იბრძვიან მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

პირდაპირი ვარიანტით გემი-ვაგონი-გემი გადამუშავების დავალება 136,9 პროცენტით შესრულდა, ხოლო სატვირთო ოპერაციებზე მექანიზაციის დონემ 96 პროცენტს მიაღწია. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასურსათო ტვირთის გადამუშავებას.

ნავსადგურების კოლექტივებმა, რომლებიც სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის შესახვედრად გაშლილ შეჯიბრებაში ჩაებნენ, გადაწყვიტეს კვლავაც არ დაუდონ ტოლი თავიანთ მეტოქეებს შრომაში და ახალი შრომითი ნობათებით შეხვდნენ 17 აპრილს — ლენინური შაბათობის დღეს. დოკერებს წარმატებაში ახალი ტექნიკაც დაეხმარება. აქ მიღებულია 16-დან 32 ტონამდე მწარმოებლობის ორი პორტალური ამწე, ოთხი 5-ტონიანი და ხუთი ტონანახევრიანი სატვირთველები, „4045" მარკის შიდასატრიუმო ორი მექანიზმი და სხვა.

ქ. კომახიძე,
„კომუნისტის" კორ.

ტყიბული. ლენინის სახელობის შახტში შექმნილია კომუნისტური შაბათობის მომწყობი შტაბი, რომელსაც შახტის დირექტორი გ. წაქაძე ხელმძღვანელობს.

— ჩვენს კოლექტივს, — თქვა მან, — შაბათობის მაღალ დონეზე მოწყობის კარგი გამოცდილება აქვს. ტრადიციას არც ამჯერად ვუღალატებთ.

17 აპრილს სამუშაოდ გამოვა 720 მუშა-მოსამსახურე, აქედან 210 კაცი უშუალოდ ქვანახშირის ამოღებაზე იქნება დასაქმებული. ამ დღეს შახტის რვა საექსპლოატაციო უბნის კოლექტივი ამოიღებს 1700 ტონა საკოქსე ქვანახშირს და გამოიმუშავებს 23 ათას მანეთს. მეთერთმეტე ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება 3 ათასი მანეთი, დაიზოგება დიდძალი ელექტროენერგია და ხე-ტყე.

(საქ. კორ.).

წითელწყარო. შაბათობის მოწყობისათვის მოქმედების ფართო პროგრამა დაისახეს რაიონის სოფლების მშრომელებმა. „წითელი შაბათობის" შტაბებიდან პირველი პატაკები მოდის. მაგალითად, რაიონის მეცხოველეობის სამეურნეობათშორისო გაერთიანების კოლექტივი შაბათობის დღეს ხორცკომბინატს მიაწვდის [illegible] ტონა ღორისა და ძროხის ხორცს, ამით 15 ტონის გადაჭარბებით შეასრულებს 4 თვის გეგმას. (საქინფორმი).

სირთულეთა დაძლევით

ქუთაისი. (საქ. კორ.). აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების კოლექტივი ყველაფერს ღონობს შარშანდელი ჩამორჩენის დასაძლევად. იანვარში წარმოების მოცულობა შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 6,7 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ხამი აბრეშუმის ქსოვილების გამოშვება 169 ათასი გრძივი მეტრით გადიდდა. ასევე დამაჯერებელი შედეგებია მიღწეული თებერვალშიც.

სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა № 3 საქსოვი საამქროს კოლექტივი. (საქ. კორ.).

გუდაური: სამთო ტურიზმის პერსპექტივები

სპეციალისტები ამტკიცებენ: კავკასიის მთების ეს დაბა ტოლს არ დაუდებს სახელმოხვეჭილ ალპურ კურორტებს, ის კი არა, უკანაც მოიტოვებსო. საამისოდ გუდაურს ყველა მონაცემი აქვს.

გუდაურში თოვლის საბურველის სისქე, რომელიც აქ ივნისამდე არ ლხვება, მეტრნახევარს სჭარბობს, ხოლო ტრასის ზედა უბნებზე — თითქმის სამ მეტრამდეა. ჰაერი კამკამაა და გამჭვირვალე. ქარის სიჩქარე წამში მეტრზე ოდნავ მეტია, ხოლო ზამთრობით უქარო დღეების რიცხვი სამოცდაათს აღემატება. დაბის ფერდობების ოპტიმალური დაქანება თექვსმეტ გრადუსს შეადგენს. სათხილამურო ფერდობების ფართობი დაახლოებით ხუთასი ჰექტარია. სიმაღლეთა სხვაობა — ასი მეტრი. სპეციალისტებმა გამოიანგარიშეს: აქ შეიძლება შეიქმნას საუცხოო სამთო-სათხილამურო ტრასები, რომლებიც ყველაზე მკაცრ საერთაშორისო მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. ასევე ზუსტ გაანგარიშებაზეა დაფუძნებული დასკვნა: დროთა განმავლობაში გუდაურს შეეძლება ორმოცი ათასამდე სამთო მოთხილამურეს უმასპინძლოს. თანაც, აქ ადგილი ყველას ეყოფა — გამოჩენილ სპორტსმენებსაც და სამთო-სათხილამურო სპორტის ახალბედებსაც. და ბოლოს, ისეთი დიდმნიშვნელოვანი ღირსება, როგორიც არის თბილისის სიახლოვე: საქართველოს სამხედრო გზით თბილისიდან გუდაურამდე სულ 120 კილომეტრია — ორი საათის სავალი. დიდ ქალაქთან ასეთ სიახლოვეს ევროპის ვერც ერთი ზამთრის კურორტი ვერ დაიკვეხნის.

ჯერჯერობით კი გუდაურს ითვისებენ ენთუზიასტები, რომლებმაც აქ ორი უმარტივესი ბაგირგზა გაიყვანეს. შაბათ-კვირას აქ ნორჩი სპორტსმენები ამოდიან. კვირაში ეს ორი დღეც კი საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ბავშვებს ესწავლათ თხილამურით სრიალი, გაეკაჟებინათ ჯანმრთელობა.

როგორია კურორტის მომავალი? ამ კითხვაზე სულ მალე გვიპასუხებენ „საქქალაქმშენის" სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის არქიტექტორები. მათ პასუხსაგები დავალება აქვთ მიცემული: კურორტი ტოლს არ უნდა უდებდეს უმაღლეს მსოფლიო სტანდარტებს. მშენებლობის კოორდინაცია და ხელმძღვანელობა ეკისრება პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტს ცეკავშირის გამგეობის ხელმძღვანელობასთან ერთად.

ახალი გუდაურის დასაბამად 6 მარტი უნდა მივიჩნიოთ. ამ დღეს მომავალი განაშენიანების ადგილს ეწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე. დათვალიერების დროს გამოითქვა აზრი, რომ, სანამ გუდაურის განვითარების გენერალური გეგმის შემუშავება დამთავრდებოდეს, საჭიროა ამთავითვე ვიზრუნოთ აქ უმარტივესი ტიპის ნაგებობების — კემპინგების, გასაქირავებელი პუნქტების, სასადილოების ასაშენებლად, რათა თბილისელმა მშრომელებმა, მათმა ოჯახებმა რაც შეიძლება მალე შეძლონ ბუნების ამ სიკეთის გამოყენება.

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძესთან ერთად გუდაურში იყვნენ თ. ნ. მენთეშაშვილი, ს. ე. ხაბეიშვილი და ი. ნ. ორჯონიკიძე.

(საქინფორმი).

დროშები გამარჯვებულებს

ქუთაისის პურის კომბინატის პროდუქცია წლითიწლობით სულ უფრო მეტი მოთხოვნილებით სარგებლობს. შარშან საწარმოში განაახლეს ღუმელები რამაც 30 პროცენტით გაადიდა წარმოების მოცულობა, უზრუნველყო წლიური გეგმის ვადამდე და ხარისხიანად შესრულება. დავალების დამატებით აქ გამოშვებულია 191 ათასი მანეთის პროდუქცია, რამაც დიდად განსაზღვრა კიდეც კომბინატის გამარჯვება საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე კოლექტივს გადასცა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. რუხაძემ.

უკვე ათი წელია ქუთაისის პურპროდუქტების საწარმოო კომბინატი, რომელიც მაღალხარისხოვან ფქვილსა და კომბინირებულ საკვებს უშვებს, ურეკლამაციოდ მუშაობს. შარშან მან დავალების დამატებით გამოუშვა 2.278 ათასი მანეთის პროდუქცია. საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში კარგი მაჩვენებლებისათვის მისი კოლექტივი ზედიზედ მეშვიდეჯერ დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

საწარმოს მუშათა და მოსამსახურეთა საზეიმო სხდომაზე ეს ჯილდო გადასცა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანმა ვ. ხაზარაძემ, რომელმაც ახალი წარმატებები უსურვა კოლექტივს შრომაში მიმდინარე, საბჭოთა სახელმწიფოს საიუბილეო წელს.

ორმოცდათორმეტი წლის წინ, ადრიანი გაზაფხულის ასეთივე დარიან დღეებში, მახარაძის რაიონის პატარა სოფელში იწყებოდა საქართველოს დიდი ჩაი. ახლა ანასეული — სელექციური ჩაის მსოფლიოში აღიარებული სამშობლო, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის შტაბ-ბინა, სასიხარულო დღეს აღნიშნავს. გასული წლის შედეგებით ამ ინსტიტუტის ანასეულის საცდელ-საწარმოო მეურნეობა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის დაჯილდოვდა გარდამავალი წითელი დროშით. ინსტიტუტის კულტურის სახლში საზეიმო კრებაზე მეურნეობის კოლექტივს დროშა გადასცა პარტიის მახარაძის რაიკომის პირველმა მდივანმა ო. თენეიშვილმა. მეურნეობის მეცნიერ მუშაკებმა და მუშებმა გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს ხუთწლედის მეორე წლისათვის (საქინფორმი).

ჯილდოები დღესასწაულის წინ

რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის მანიფესტის—გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლის თავს მიეძღვნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ც. პ. კალანდაძის მონოგრაფია, რომელიც ასახავს გასული საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის მეცნიერულ, კულტურულ და სახელმწიფო ცხოვრებაში ჩვენი თანამემამულეების მონაწილეობას.

საქართველოს კულტურის ისტორიისა და ჩვენი ქვეყნის მოძმე რესპუბლიკებთან მისი კულტურული ურთიერთობის საკითხებზე ორმოცზე მეტი მეცნიერული ნაშრომი მოამზადა ცეცილია პოლიატორის ასულმა კალანდაძემ ინსტიტუტში მუშაობის ოცდაათი წლის მანძილზე, აღზარდა მეცნიერული კადრების არაერთი თაობა. ც. პ. კალანდაძის დამსახურების აღიარება იყო მისი არჩევა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული მსოფლიო კულტურის პრობლემების სამეცნიერო საბჭოს წევრად.

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებში ხანგრძლივი ნაყოფიერი საქმიანობისათვის სხვა მეცნიერთა ჯგუფთან ერთად მას მიენიჭა „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდება. სიგელები რესპუბლიკის ამ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ მათ გადაეცათ 8 მარტის წინ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. ამ დღეს ჯილდოები მიიღეს ქალებმა — პარტიულმა და საბჭოთა მუშაკებმა, მეცნიერებმა, მასწავლებლებმა და მსახიობებმა...

ბრძანებულებანი დაჯილდოების შესახებ წაიკითხა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა თ. ვ. ლაშქარაშვილმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა მათ გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელები, სიგელები რესპუბლიკის საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ, „შრომის ვეტერანის" მედალი.

დაჯილდოებულთა სახელით გამოვიდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ვ. ქ. ცისკარიძე და საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი ლ. ა. წულუკიძე, რომლებმაც გულწრფელი მადლობა გადაიხადეს მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის და განაცხადეს, რომ კვლავაც არ დაიშურებენ ძალღონეს საყვარელი სამშობლოს აყვავებისათვის.

ამხ. პ. გ. გილაშვილმა გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულთ და უსურვა მათ ჯანმრთელობა და დიდი ბედნიერება.

(საქინფორმი).

8 მარტი ქალთა საერთაშორისო დღეა



მხატვარ ლერი ლვინჯილიას პლაკატი.

მათი შრომითი გმირობით და შემართებით ამაყობს სამშობლო!

საქართველომ ზედიზედ მეცხრედ გაიმარჯვა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მოიპოვა.

ამ დიდ წარმატებაში თავიანთი ღირსეული წვლილი შეიტანეს ჩვენმა მშრომელმა ქალებმაც. ისინი კარგი შრომითი მაჩვენებლებით შეეგებნენ თავიანთ დღესასწაულს — ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს 8 მარტს.

ამ სურათებზეც მათი მოწინავე წარმომადგენლები არიან აღბეჭდილი: ზემოდან—თბილისის აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის 42-ე ფიზიკა-მათემატიკის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი ნანა იაშვილი; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის თანამშრომელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი დარეჯან გაბუნია; ცხაკაიას რაიონის სოფელ ხორშის კოლმეურნეობა „გამარჯვების" მეჩაიე-მექანიზატორი ეთერ გაბეჩავა; ქვემოთ — თბილისის პარფიუმერია-კოსმეტიკის ფაბრიკა „ივერიის" მოწინავე მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი დალი ხიდამონიძე; გალის რაიონის ზემო ბარლების ჩაის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიე, საქართველოს სსრ 1982 წლის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი იამზე შამუგია; ქუთაისის №1 სამკერვალო გაერთიანების პირველი სამკერვალო საამქროს მკერავი, კომუნისტური შრომის დამკვრელი მანანა ლაბაძე; საგარეჯოს რაიონის გომბორის მეცხოველეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორი მარიამ წოწკოლაური; სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობის მევენახე, საკავშირო კომკავშირის პრემიის ლაურეატი ლეილა ჯავახიშვილი და ლაგოდეხის რაიონის სოფელ აფენის კოლმეურნეობა „საქართველოს" მეაბრეშუმე-მევენახე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მერი მახათაძე.

ვ. გენზიურის, ჯ. ლომაძისა და ა. ჩარკვიანის ფოტო.

ლენინური კურსით

საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომის უმნიშვნელოვანესი შედეგია ჩვენს ქვეყანაში განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების შექმნა. ამ ეტაპზე მთავრდება მთელ საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარდაქმნა ახალი წყობილებისათვის შინაგანად დამახასიათებელ კოლექტივისტურ საწყისებზე, სულ უფრო სრულად ვლინდება სოციალიზმის შემოქმედებითი პოტენციალი, მისი ჭეშმარიტად ჰუმანისტური არსი. განვითარებული სოციალიზმის თეორიისა და პრაქტიკის საფუძველზე სკკპ XXVI ყრილობამ შეაჯამა განვლილი გზის შედეგები, განსაზღვრა ქვეყნის განვითარების მეთერთმეტე ხუთწლედისა და უფრო ხანგრძლივი პერსპექტივის ამოცანები, გააანალიზა მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებების შინაარსი. ყრილობის გადაწყვეტილებანი თეორიისა და პრაქტიკის ორგანული ერთიანობის მაგალითია, მოქმედი მარქსიზმ-ლენინიზმის ნიმუშია.

ყრილობის იდეების, მის მიერ დასახული ამოცანების უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის, მათი განხორციელების გზების უფრო ღრმად გაგებაში დაეხმარება კომუნისტებს და უპარტიოებს კრებული **„სკკპ XXVI ყრილობა: თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა"**[1]. მასში შესულია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელთა მოხსენებები, სიტყვები და სტატიები, რომლებიც 1981 წლის პირველ ნახევარში გამოქვეყნდა.

კრებული იწყება ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებით, რომელიც ყრილობაზე გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. ეს არის დოკუმენტი, რომელიც, ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, იძლევა „მთლიან, სისტემატურ, ზუსტ პასუხს... უმნიშვნელოვანეს კითხვებზე" (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 19, გვ. 527). შემოქმედებითი ლენინიზმის სულისკვეთებით არის განმსჭვალული ყრილობის დებულებანი ეკონომიკისა და კულტურის განვითარების, პოლიტიკური სისტემის სრულყოფის პრობლემებზე, მისი შეფასებანი და დასკვნები, რომლებიც მსოფლიო რევოლუციურ პროცესს და საგარეო პოლიტიკას ეხება. დროით შემოწმებულმა საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის თეორიამ და მეთოდოლოგიამ პრაქტიკულად შეისხა ხორცი განვითარებული სოციალიზმის აშენებით, მსოფლიოში პირველი საერთო-სახალხო მრავალეროვანი სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის აყვავებით, რომლის სამოცი წლის იუბილესაც წელს ვიზეიმებთ.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებებსა და გამოსვლებში, ამხანაგ მ. ა. სუსლოვის სტატიაში „განვითარებული სოციალიზმის აღმშენებლობითი სტრატეგია", სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ. უ. ჩერნენკოს მოხსენებაში „შევამოწმოთ ლენინით, ვიმოქმედოთ ლენინურად" და მის სტატიაში „სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი — ეს არის ლენინიზმი მოქმედებაში", კრებულის სხვა მასალებში წარმოჩენილია ლენინის იდეების სიდიადე, მისი ხორცშესხმა კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხის კონკრეტულ საქმეებში და გეგმებში.

კრებულის ავტორთა ყურადღების ცენტრშია ეკონომიკური პოლიტიკის საკითხები: „სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობა, — აღნიშნავდა ლ. ი. ბრეჟნევი, — ეს პარტიისა და სახელმწიფოს მთელი საქმიანობის ღერძია. სწორედ ეკონომიკის დარგში ეყრება საძირკველი სოციალური ამოცანების გადაწყვეტას, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას, აქტიურ საგარეო პოლიტიკას. სწორედ აქ იქმნება კომუნიზმისაკენ საბჭოთა საზოგადოების წარმატებული წინსვლის საჭირო წანამძღვრები".

იწყებდა რა 70-იან წლებს, ნათქვამია კრებულში, პარტიამ ყოველმხრივ გააანალიზა სახალხო მეურნეობის მდგომარეობა და განსაზღვრა განვითარებული სოციალიზმის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის ძირითადი გზები. ეკონომიკისადმი პარტიული, პოლიტიკური მიდგომის საწყისი პუნქტი იყო და არის უცვლელი საპროგრამო მოთხოვნა — ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის. აქედან მომდინარეობს სკკპ XXIV, XXV და XXVI ყრილობების გეზი, რომლის მიზანია სახალხო მეურნეობის უფრო ღრმა შემობრუნება მრავალფეროვანი ამოცანებისაკენ, რომლებიც დაკავშირებულია მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან. აქედანვე გამომდინარეობს ყრილობების დებულებანი, რომ გადაჭრით გადავიდეთ ეკონომიკური ზრდის უპირატესად ინტენსიურ ფაქტორებზე, მთელი მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებაზე.

მაქსიმალური შედეგები მინიმალური დანახარჯებით — აი რისთვის იღვწის პარტია. ლაპარაკია იმაზე, რომ უფრო ყაირათიანად მივუდგეთ მეურნეობის გაძღოლას, რისთვისაც საჭიროა უკუვაგდოთ ბევრი ადრე ჩამოყალიბებული ჩვევა, სტერეოტიპები, საბოლოოდ მოვიშოროთ თავიდან აზროვნებისა და პრაქტიკის ის სტილი, რომელიც უპირველესად რაოდენობრივ მაჩვენებლებს ისახავს მიზნად და ჯეროვნად ვერ აფასებს თვისებრივ მაჩვენებლებს. ეკონომიკური პოლიტიკის ღერძი ხდება ის, რომ უნარიანად და ეფექტიანად გამოვიყენოთ მთელი არსებული რესურსები — შრომა, ძირითადი ფონდები, სათბობი და ნედლეული, მინდვრისა და ფერმების პროდუქცია. ეს პრობლემები და მათ გადასაწყვეტად პარტიისა და ხალხის მრავალფეროვანი საქმიანობა გაშუქებულია სკკპ XXVI ყრილობისადმი ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. ს. გორბაჩოვის სტატიაში „აგრარული პოლიტიკის აქტუალური საკითხები სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად" და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ვ. ი. დოლგიხის სტატიაში „სკკპ XXVI ყრილობა და პარტიის პოლიტიკა მრეწველობისა და მშენებლობის დარგში".

მომწიფებული სოციალიზმის პირობებში ეკონომიკის პროგრესი სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდება საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკურ და სულიერ განვითარებას. ამიტომ კრებულის ავტორები დიდ ყურადღებას უთმობენ საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-კლასობრივი და ეროვნული სტრუქტურის შემდგომი სრულყოფის, სოციალისტური ცხოვრების წესის, ჩვენი სახელმწიფოებრიობისა და დემოკრატიის საკითხებს.

კომუნისტურმა პარტიამ ღრმად გააანალიზა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე უდიდესი სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობის პროცესები და თავის XXVI ყრილობაზე დაასკვნა, რომ საზოგადოების უკლასო სტრუქტურის ჩამოყალიბება უმთავრესად და ძირითადად განვითარებული სოციალიზმის ისტორიულ ფარგლებში განხორციელდება. ისეთი საზოგადოების შექმნა, რომელშიც ადამიანები კლასებად არ იქნებიან დაყოფილი, პარტიის საპროგრამო მიზანია და ამის მიღწევა, როგორც აღნიშნულია „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, ამასთანავე დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი იქნება ჭეშმარიტად დემოკრატიულ, ჭეშმარიტად ინტერნაციონალისტურ ბაზაზე ერთა სულ უფრო სრული დაახლოების გზაზე.

პარტიის გეგმების წარმატებით განხორციელება წარმოუდგენელია, თუ კვლავაც არ ავამაღლეთ მშრომელთა შეგნება და ინიციატივა. ახალი საზოგადოებრივი ამოცანების გადაწყვეტისას, გვასწავლის ვ. ი. ლენინი, „პოლიტიკური თვალსაზრისით... სწორედ მასების მომზადებაა ყველაზე მნიშვნელოვანი" (თხზ., ტ., 32, გვ. 20). ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფის პრობლემები ფართოდ არის გაშუქებული ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე 1981 წლის 1 აპრილს, ამხანაგ მ. ა. სუსლოვის შესავალ სიტყვაში იდეოლოგიური მუშაკების საკავშირო თათბირ-სემინარზე, სტატიებში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ვ. ვ. გრიშინისა — „ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობა — სკკპ XXVI ყრილობის მოთხოვნათა დონეზე", სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. ვ. შჩერბიცკისა — „მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა", სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის პ. ნ. დემიჩევისა — „სკკპ XXVI ყრილობა და კულტურის ამოცანები", სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მ. ს. სოლომენცევისა — „თეატრი და დროება", სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძისა — „სოციალისტური ჰუმანიზმის ლენინური პრინციპების დამკვიდრება", სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ი. ვ. კაპიტონოვისა — „სკკპ საბჭოთა ხალხის ავანგარდია", სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მ. ვ. ზიმიანინის მოხსენებაში „იდეოლოგიური და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის მორიგი ამოცანების შესახებ, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებიდან და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებიდან".

როგორიც იქნება ადამიანი, როგორც იგი იშრომებს, ისეთი იქნება საზოგადოებაც. ლენინის ამ აზრით ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს პარტია თავის მრავალფეროვან იდეოლოგიურ, პოლიტიკურ-აღმზრდელობით და ორგანიზატორულ მუშაობაში. მისი მთავარი ამოცანაა გამოავლინოს თითოეული ადამიანის საუკეთესო თვისებები, ფართო სარბიელი მისცეს მშრომელთა ინიციატივას და შემოქმედებას, ავტორიტეტი აუმაღლოს პატიოსან, კეთილსინდისიერ შრომას, ერთმანეთს შეურწყას ადამიანისადმი ნდობა და დიდი მომთხოვნელობა. ძირითადი ამოცანები, რომლებიც აქ დგას პარტიული ორგანიზაციების წინაშე, ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 26 აპრილის დადგენილებაში, რომელსაც ხანგრძლივი ხასიათი აქვს. მისი რეალიზაცია პარტიული ორგანიზაციებისაგან იდეოლოგიური მუშაობის მრავალი უბნისა და სფეროს ყოველდღიურ სრულყოფას, როგორც ყრილობაზე ითქვა, გარდაქმნას მოითხოვს.

ეს გარდაქმნა, რამდენადაც იგი მთელი იდეოლოგიური კადრების საქმეა, წარმოუდგენელია ისე, თუ ყოველმხრივ არ გავითვალისწინეთ ცხოვრების ახალი მოვლენები. საზრიანად, შემოქმედებითად არ მივუდექით შეძენილი გამოცდილების, მეცნიერების შესაძლებლობების გამოყენებას, ორგანულად არ დავუკავშირეთ იდეურ-აღმზრდელობითი საქმიანობა მეთერთმეტე ხუთწლედის სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლას, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ განვითარებას. მთავარი, რაზეც ჩვენი პარტია დღენიადაგ მიაპყრობს ჩვენს ყურადღებას, — ეს არის კომუნისტური აღმშენებლობის პრაქტიკასთან პროპაგანდის, აღზრდის მთელი საქმის კავშირის თანამიმდევრული განმტკიცება, მათი აქტუალობისა და ქმედითობის გაზრდა. ლაპარაკია იმაზე, აღნიშნულია კრებულში, რომ საქმით მივაღწიოთ პარტიის იდეურ-თეორიული, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი, ორგანიზატორული და სამეურნეო მუშაობის ერთიანობას. სწორედ სიტყვისა და საქმის ასეთი ერთიანობა, ასეთი შერწყმაა ჩვენი პროპაგანდის, მასებში მთელი ჩვენი პარტიული მუშაობის წარმატების საფუძველი. ეს აზრი წითელ ზოლად გასდევს წიგნის მასალებს.

ადამიანის მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში პროგრესის გადამწყვეტი წანამძღვარია მშვიდობა. ჩვენი ბრძოლა მშვიდობის განმტკიცებისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავებისათვის — ეს, უწინარეს ყოვლისა, არის ბრძოლა იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ საბჭოთა ხალხი მის წინაშე დასახული აღმშენებლობითი ამოცანების გადაწყვეტის საგარეო პირობებით. ამით კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ჭეშმარიტად მსოფლიო ხასიათის პრობლემასაც წყვეტენ. „რამეთუ ახლა არც ერთი ხალხისათვის, — თქვა ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — არ არსებობს უფრო არსებითი, უფრო დიდმნიშვნელოვანი საკითხი, ვიდრე მშვიდობის შენარჩუნება, ვიდრე თითოეული ადამიანის უპირველესი უფლების — სიცოცხლის უფლების უზრუნველყოფა".

საბჭოთა ხალხის, ლენინის პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დაუცხრომელ ბრძოლას დაძაბულობის შენელების მონაპოვართა შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, ქვეყნად მშვიდობისათვის ბრწყინვალედ გვიჩვენებს ამ კრებულის შინაარსი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, [illegible] ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები, მისი ინტერვიუები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის დ. თ. უსტინოვის სტატია „დავიცვათ მშვიდობა". კრებულის მასალებში ღრმად არის გაშუქებული XXVI ყრილობის საგარეო-პოლიტიკური დებულებების არსი, მათი პრაქტიკული განხორციელების მიმდინარეობა, განმარტებულია საბჭოთა კავშირის ახალი სამშვიდობო ინიციატივები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბ. ნ. პონომარიოვის სტატიებში „სკკპ XXVI ყრილობის საერთაშორისო მნიშვნელობის შესახებ" და „სკკპ XXVI ყრილობის შედეგები და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ზოგიერთი საკითხი", სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ. ვ. რუსაკოვის გამოსვლაში „სკკპ XXVI ყრილობა მსოფლიო სოციალისტური სისტემის განვითარების შესახებ" ნაჩვენებია სოციალისტური თანამეგობრობის, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის სულ უფრო მზარდი გავლენა საერთაშორისო საქმეებზე, მათი როლი დემოკრატიისა და პროგრესის მთელი ძალების გაერთიანებაში.

კრებულის მთელი შინაარსი ადასტურებს დასკვნას, რომ კომუნისტური პარტია ჩვენს ქვეყანას წინ მიუძღვის ერთადერთი სწორი ლენინური კურსით — მშვიდობისა და აღმშენებლობის კურსით. ეს წიგნი, რომელიც უწინარესად პარტიული მუშაკებისათვის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლებისათვის და პროპაგანდისტებისათვის არის გათვალისწინებული, უდავოდ მიიპყრობს მკითხველთა ფართო წრის ყურადღებას.

„პრავდა". 1982 წ. 6. III.

---

[1] **სკკპ XXVI ყრილობა: თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა. გამოშვება 1.** მოსკოვი, პოლიტგამომცემლობა, 1982 წ. 558 გვ.

საბჭოების მუშაობა — დღის მოთხოვნათა დონეზე

სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს სესია

სკკპ XXVI ყრილობის შემდეგ ბევრი რამ ახალი, საინტერესო გაჩნდა სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობაში. ისინი მეტ ყურადღებას უთმობენ სახალხო მეურნეობის, მოსახლეობის მომსახურების საკითხებს, შეძლებისდაგვარი წვლილი შეაქვთ ავტონომიური ოლქის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში.

ავტონომიური ოლქის ეკონომიკისა და კულტურის სტაბილურ ზრდას მოწმობს ის ფაქტი, რომ სამხრეთ ოსეთს კვლავ მიენიჭა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. მაგრამ წინ არის კიდევ უფრო მაღალი მიჯნები, რომლებიც მოითხოვს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მშრომელთა დაძაბულ შრომას, ავტონომიური ოლქის ადგილობრივი საბჭოების სამეურნეო ორგანოების ორგანიზატორული და მასობრივ-აღმზრდელობითი მუშაობის სტილისა და მეთოდების მუდმივ სრულყოფას.

ეს ითქვა სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს სესიაზე, რომელმაც განიხილა საოლქო აღმასკომის 1981 წლის მუშაობის შედეგები და მიმდინარე წლის ამოცანები.

მომხსენებელმა — სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ თ. შ. კაბულოვამ, კამათის მონაწილე დეპუტატებმა აღნიშნეს მიღწეული წარმატებები, ილაპარაკეს გადაუჭრელ პრობლემებზე, ეკონომიკისა და კულტურის ზრდის რეზერვებზე, ადგილობრივი საბჭოების გადაუდებელ ამოცანებზე. მკაცრად გააკრიტიკეს მთელი რიგი სამშენებლო ორგანიზაციები, მათ შორის საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „ცხინვალმშენის" №11 ტრესტი, რომლებმაც დროზე ვერ გადასცეს საექსპლოატაციოდ საწარმოო, საბინაო-კომუნალური და სამედიცინო დანიშნულების ობიექტები. აღინიშნა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, განსაკუთრებით დაშორებულ დასახლებულ პუნქტებში.

სესიამ მოისმინა სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს კულტურის მუდმივი კომისიის ანგარიში.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატი, პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ფ. ს. სანაკოევი. (საქინფორმი).

საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები გვატყობინებენ

საერთაშორისო
დედამიწის ზურგზე
ცხოვრება

7 მარტი

● ეგვიპტე

სამხედრო ტრიბუნალის განაჩენი

კაირო. ეგვიპტის დედაქალაქში დამთავრდა სასამართლო პროცესი პრეზიდენტ სადათის მკვლელობის გამო. უმაღლესი სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებით ბრალეულად ცნეს 22 კაცი იმ 24-თაგან, რომლებიც სამსჯავროს წინაშე წარსდგნენ. მათ ბრალად ედებოდათ პრეზიდენტ სადათის მკვლელობის მზადება და მოკვლა გასული წლის 6 ოქტომბერს კაიროში გამართული სამხედრო პარადის დროს.

თავდასხმის ოთხ უშუალო მონაწილეს, მათ შორის ჯგუფის ხელმძღვანელ ეგვიპტის შეიარაღებული ძალების უფროს ლეიტენანტს ჰალედ ალ-ისლამბულის, აგრეთვე აბდელ სალამ ფარაგს, რომელსაც იატაკქვეშა მაჰმადიანური ორგანიზაციის ხელმძღვანელს უწოდებენ, მიესაჯათ სიკვდილით დასჯა. ხუთ განსასჯელს მიესაჯა სამუდამო საკატორღო სამუშაოები, თორმეტს — საკატორღო სამუშაოები ხუთიდან თხუთმეტ წლამდე ვადით. ორი განსასჯელი ტრიბუნალის გადაწყვეტილებით გამართლებულია.

რა იცის „ცოდნამ" საერთაშორისო ცხოვრების შესახებ?

— **იცის** საკმაოდ ბევრი და ბევრ რამეს აძლევს აუდიტორიას — ასეთი იყო რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის" მორიგი პლენუმის მონაწილეთა კოლექტიური აზრი. პლენუმი მიეძღვნა საზოგადოების ამოცანებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის პროპაგანდის სფეროში. მაგრამ ასევე ერთსულოვანი იყო აზრიც იმის შესახებ, რომ ამ მუშაობამ დღეისათვის საჭირო დონეს ჯერ კიდევ ვერ მიაღწია. საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ ნ. ცომახიძემ და პლენუმის მონაწილეებმა მოხსენებასა და გამოსვლებში გააანალიზეს და გამოავლინეს მისთვის დამახასიათებელი ნაკლოვანებანი. ეს, უწინარეს ყოვლისა, არის საერთაშორისო ასპარეზზე მკვეთრად გამწვავებული იდეოლოგიური ბრძოლის თავისებურებათა არასაკმარისად ზუსტი და სრული აღრიცხვა. ლექციები, რომლებსაც შრომითს კოლექტივებსა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით კითხულობენ, ხშირად მოკლებულია კონკრეტულობას, არ არის დამარწმუნებელი თავისი მასალით. „ცოდნის" ზოგიერთ ორგანიზაციაში, არსებითად, კონტროლს მოკლებულია ლექციების თემატიკა და შინაარსი.

პლენუმმა ხაზი გაუსვა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ლექციური პროპაგანდის შეტევით ხასიათს, და აღნიშნა, რომ საჭიროა გადაჭრით აღმოიფხვრას გამოვლენილი ნაკლოვანებანი და ხარვეზები, გაძლიერდეს ლექციების საგნობრიობა და კონკრეტულობა, უზრუნველყოფილ იქნეს მათი მჭიდრო კავშირი თანამედროვე საერთაშორისო ვითარებასთან. მიღებულ დადგენილებაში განსაზღვრულია საერთაშორისო ცხოვრების საკითხთა პროპაგანდის ხარისხისა და ეფექტიანობის ყოველმხრივი ამაღლების, სსრ კავშირის უმნიშვნელოვანეს საგარეო-პოლიტიკურ აქციათა ღრმა განმარტების კონკრეტული ღონისძიებანი.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე 1982 წელს საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" ლექციურ-პროპაგანდისტული საქმიანობის საკითხი, მოისმინა ინფორმაცია IX და X პლენუმებს შუა პერიოდში რესპუბლიკური საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ.

პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" X ყრილობა მოიწვიოს 1982 წლის 21 მაისს.

პლენუმზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უცხოეთთან ურთიერთობის განყოფილების გამგე ო. ქაჯაია. (საქინფორმი).

ცხოვრების კარნახით

ამ სათაურით გამოვიდა ჟურნალ „პარტიული სიტყვის" ბიბლიოთეკის მორიგი მე-4 ნომერი. მკითხველი აქ გაეცნობა წერილებს: ვ. ჭავჭანიძის — რჩევა-დარიგება საქმიან კაცს; ე. კისელის — გონებრივი შრომის ეფექტიანობის 20 პირობა; კ. დოლიძის — შემოწმებაც, დახმარებაც, კონტროლიც; ბ. გულიაშვილის— თვალსაჩინოება ხუთწლედის ფრონტზე; ნ. აფრიდონიძის — იბრძოდა მახვილი სიტყვაც...; გ. იარალოვის — სულიერი სიმდიდრის საგანძური.

ფაქტები ● მოვლენები ● კომენტარი

მადრიდის შეხვედრაზე

მადრიდი. ესპანეთის დედაქალაქში მუშაობას განაგრძობს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე სახელმწიფოთა შეხვედრა.

პლენარულ სხდომაზე გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილე, სსრ კავშირის ელჩი ესპანეთში ი. ვ. დუბინინი.

საბჭოთა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მადრიდის შეხვედრის მუშაობა მიმდინარეობს საერთაშორისო ვითარების სერიოზული გართულების ფონზე და განაცხადა, რომ საჭიროა განსაკუთრებული მზრუნველი დამოკიდებულება ყოველივე დადებითისადმი, რაც მიღწეულია უკანასკნელი წლების მანძილზე საერთაშორისო ურთიერთობაში.

თუ ავიღებთ ევროპის ვითარებას, და კერძოდ, მადრიდის შეხვედრის მუშაობას, თქვა საბჭოთა დელეგატმა, აქ საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა, მზრუნველ დამოკიდებულებას სრულიად ევროპის პროცესისადმი, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის ჰელსინკის საბოლოო აქტისადმი.

აქ, თქვა შემდეგ სსრ კავშირის წარმომადგენელმა, ბევრი გამონათქვამი მოვისმინეთ იმის შესახებ, რომ მადრიდის შეხვედრაზე წარმოიშვა რთული სიტუაცია, რომელიც პროდუქტიული მუშაობის შესაძლებლობას გამორიცხავს. საბჭოთა დელეგაციამ უკვე არაერთგზის ჩამოაყალიბა თავისი შეხედულება მადრიდში ასეთი სიტუაციის წარმოშობის მიზეზების გამო, ცხადყო, ვისი მიზეზით მოხდა ეს, ვინ აფერხებს მადრიდის შეხვედრას და საქმიანი კალაპოტით მისი მუშაობის წარმართვას. ხაზგასმით აღვნიშნეთ შეშფოთება იმის გამო, რომ არიან ძალები, რომლებიც შეგნებულად უთხრიან ძირს ევროპის სტაბილურობისა და თანამშრომლობის საფუძვლებს, ცდილობენ შეაჩერონ სრულიად ევროპის პროცესის განვითარება, წამლავენ დიალოგის ატმოსფეროს.

ევროპის ხალხთა ნამდვილი ინტერესები კი დაბეჯითებით მოითხოვს სხვა რამეს — შეხვედრის მუშაობის წარმართვას ნორმალური კალაპოტით. საჭიროა გავაორკეცოთ, გავასამკეცოთ მეცადინეობა, რათა მადრიდის შეხვედრა დავაბრუნოთ კონსტრუქციული მუშაობის გზაზე.

მადრიდის შეხვედრის წარმატებით დამთავრების საფუძველი გახლავთ ნეიტრალური და მოუმხრობელი სახელმწიფოების მიერ შემოტანილი შემაჯამებელი დოკუმენტის პროექტი, რომელიც სახავს იმ კომპრომისული დებულებების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას, რომლებიც საბოლოო აქტის ყველა განყოფილებას ეხება.

დასასრულ საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილემ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ მადრიდის შეხვედრის მონაწილე სახელმწიფოებს დაძაბულობის შენელების პოლიტიკის განგრძობისა და გაღრმავებისათვის და სრულიად ევროპის პროცესის განვითარებისათვის, და მოუწოდა თითოეულ დელეგაციას ყველაფერი იღონოს, რათა მადრიდის შეხვედრაზე გონიერებამ გაიმარჯვოს.

შეხვედრის მონაწილეებს საქმიანი მუშაობისათვის მოუწოდეს აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და რუმინეთის დელეგაციებმა. ავსტრიის წარმომადგენელმა შეშფოთება გამოთქვა შეხვედრაზე შექმნილი მდგომარეობის გამო და თქვა, რომ თითოეულ დელეგაციას პასუხისმგებლობის წილი ეკისრება შეხვედრის შედეგისათვის.

კანადის, ინგლისისა და პორტუგალიის დელეგაციები კვლავ დემაგოგიურად დაესხნენ თავს სოციალისტური ქვეყნების პოლიტიკას და ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ და გაეძლიერებინათ დაძაბული პოლიტიკა, რომელიც შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს მთელი რიგი დელეგაციების ობსტრუქციონისტული პოლიტიკის შედეგად.

ფოტოფაქტი

ჰაიტელთა მწარე ხვედრი

ამერიკის შეერთებული შტატები განამტკიცებს კავშირს ლათინური ამერიკისა და კარიბის აუზის ყველაზე რეაქციულ რეჟიმებთან. მხოლოდ ამერიკის დახმარებით უჭირავს ხელთ ძალაუფლება ჰაიტელ დიქტატორ დიუვალიეს, რომლის ანტიხალხურ პოლიტიკას შიმშილი, უმუშევრობა და სიღატაკე მოაქვს ადამიანებისათვის.

ყოველწლიურად 30 ათასამდე ჰაიტელი გარბის თავის მშობლიური კუნძულიდან, რათა თავი დააღწიოს ტერორსა და რეპრესიებს. ამერიკის პროპაგანდით მოტყუებულნი, მეტწილად ისინი შეერთებულ შტატებში მიემგზავრებიან პატარა ნავებით, უწყლოდ და უსაგზლოდ, რაც ბევრისათვის ტრაგიკულად მთავრდება ხოლმე. მაგრამ იმათაც-კი, რომლებსაც „ბედი გაუღიმებს" და შეერთებულ შტატებში ცოცხლები ჩადიან, ამერიკის „საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოებაში" ლტოლვილ პირთა ცენტრები მოელით, რომლებიც არაფრით არ განსხვავდება საკონცენტრაციო ბანაკისაგან.



● ●

სურათზე: ჰაიტელები ლტოლვილ პირთა ცენტრში.

საქდესის ფოტო.

● ავღანეთი

ბანდიტური გამოხდომა

ქაბული. კონტრრევოლუციურმა ელემენტებმა დანაშაულებრივი აქცია ჩაიდინეს ავღანეთის დედაქალაქში. 5 მარტს საღამოს განათლების სამინისტროს შენობის ერთ-ერთი სვეტის ქვეშ ჩადეს ნაღმი. აფეთქების შედეგად დაიმსხვრა მინები და ვიტრაჟები, ნაწილობრივ დაზიანდა აგრეთვე სამინისტროს მოპირდაპირე მხარეს მდებარე ქაბულის მუნიციპალიტეტის შენობა. საბედნიეროდ, არავინ არ დაშავებულა.

ბანდიტთა დანაშაულობანი ავღანელ მშრომელთა გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევს.

● აშშ

მუქარის კამპანია

ვაშინგტონი. ამერიკის მხედრიონი აძლიერებს სოციალისტური კუბისა და ცენტრალური ამერიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების წინააღმდეგ მიმართულ მუქარის კამპანიას. კონგრესში გამართულ მოსმენაზე გამოსვლისას ატლანტიკის ოკეანის რაიონში განლაგებული ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების მთავარსარდალმა ადმირალმა გ. ტრეინმა განაცხადა, რომ სამხედრო-საზღვაო ძალებმა შეიმუშავეს კარიბის აუზში „საგანგებო ვითარებაში" მოქმედების გეგმა.

მოკლედ

ტელეტაიპის ლენტიდან

✦✦

● ისლამაბადი

პაკისტანის მოსახლეობის ფართო ფენების სერიოზულ შეშფოთებას იწვევს მასობრივი დაპატიმრება, რომელიც ქვეყანაში ეწყობა „სისხლის სამართლის დამნაშავეობისა და სხვა ანტისოციალური ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიის" ფარგლებში, წერს გაზეთი „მუსლიმი". მაულანა შ. ა. ნურანის, გ. მ. ჯატოისა და სხვა პოლიტიკური მოღვაწეების თქმით, აღნიშნავს გაზეთი, დაპატიმრებულთა მხოლოდ 5 პროცენტს შეადგენენ სისხლის სამართლის დამნაშავენი. დანარჩენები არიან ოპოზიციის, მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლები, სტუდენტთა მოძრაობის აქტივისტები. „ანტისოციალური ბოროტებისაგან საზოგადოების წმენდის" საბაბით წინა კვირაში აქ დაახლოებით 10 ათასი კაცი დააპატიმრეს.

● პარიზი

თანასწორუფლებიანობის, ყოფაცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესების, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის, აგრეთვე მშვიდობისა და განიარაღებისათვის ქალთა ბრძოლის ახალი მიმართულებების განხილვას მიეძღვნა ფრანგი ქალების კავშირის XIV ყრილობა, რომელმაც მუშაობა დაამთავრა პარიზის ნანტერის გარეუბანში. ყრილობის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ქვეყნის ამ უდიდესი ქალთა ორგანიზაციის 170.000 წევრის წარმომადგენელმა ათასამდე დელეგატმა.

ყრილობის დელეგატებმა აირჩიეს კავშირის ხელმძღვანელი ორგანოები, მოიწონეს ორგანიზაციის მოქმედების უახლოესი წლების პროგრამა.

● კაირო

ისრაელის საოკუპაციო ხელისუფლები სასტიკად უსწორდებიან ოკუპირებული არაბული ტერიტორიების პალესტინელ მოსახლეობას. ისრაელის ჯარის პატრულმა ქალაქ ნაბლუსში ცეცხლი დაუშინა პალესტინელ მოსწავლეთა ჯგუფს. ორი ბავშვი დაიჭრა.

● კოლომბო

არ დაუშვან ტრინკომალის საზღვაო ნავსადგურის ტერიტორიის ნაწილისა და იქ განლაგებული ნავთობსაცავების ამერიკელთა ხელში გადაცემა — მოითხოვს შრი ლანკის ბუდისტ მღვდელთა ასოციაციის კონფერენციის მონაწილეებმა.

ველანვიტში გამართულ კონფერენციაზე ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში მათ ხელისუფალთ მოსთხოვეს შეწყვიტონ მოლაპარაკება შეერთებულ შტატებთან. ამერიკის ფირმასთან დადებული შეთანხმება, ნათქვამია რეზოლუციაში, პენტაგონს შესაძლებლობას მისცემს შრი ლანკის ნავსადგური გამოიყენოს შეერთებული შტატების სამხედრო ფლოტის ინტერესებისათვის, რაც სერიოზულ საფრთხეს უქადის ქვეყნის სუვერენიტეტს.

„ვენერა" მოგვითხრობს...

4 მარტს საპლანეტთაშორისო სადგურ „ვენერა-14"-ს დედამიწიდან გადაცემული კომანდით გამოეყო დასაშვები აპარატი და გაემართა ცისკრისაკენ. 5 მარტს დილაადრიან დამოუკიდებელი ფრენის დროს იგი შევიდა პლანეტის ატმოსფეროში, სადაც რამდენიმე დღეა „ცხოვრობს" მისი მეწყვილე „ვენერა-13". კოსმოსური სივრცის საბჭოთა მკვლევარებმა ახალ თვალსაჩინო წარმატებას მიაღწიეს.

საქინფორმის კორესპონდენტის თხოვნით ამ გამარჯვების მნიშვნელობას, განმარტავს თვალსაჩინო საბჭოთა ასტროფიზიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. ქ. ხარაძე.

— კოსმოსური სივრცისა და კოსმოსური სხეულების შესწავლის პროგრამით კიდევ ერთი მორიგი ექსპერიმენტი მოეწყო მორიგ სერიაში, მაგრამ არა ჩვეულებრივი და არა რიგითი. პლანეტა ვენერის ზედაპირზე მრავალპლანიანი აპარატის დაშვება და მისი მანიპულაციები, მის მიერ მიღებული სამეცნიერო ინფორმაცია საბჭოთა კოსმოსური მეცნიერებისა და ტექნიკის ბრწყინვალე მიღწევაა. ტექნიკურად და კონსტრუქციულად აპარატი ურთულესი სისტემაა, რომელსაც მოეთხოვება ფუნქციონირების სრული საიმედოობა ტემპერატურის ცვალებადობის, გარემოს სიმკვრივის, გრავიტაციულ გადატვირთვის უძნელეს პირობებში. საჭირო იყო აგრეთვე დაპროგრამებული მანიპულაციების ზუსტი შესრულება იმ მომენტებში, რომლებიც შეესაბამება გარემოს, ესე იგი პლანეტის მრავალშრიანი ატმოსფერული გარსის ფიზიკური პარამეტრების ცვლილებებს.

აპარატის ზუსტი მუშაობა, რომელმაც შეუფერხებლად შეასრულა გათვალისწინებული პროგრამა ღრუბლებში ჩაშვების ყველაზე დაძაბულ წუთებში, სადაც ტემპერატურა რამდენიმე ასეული გრადუსი სითბოა, ხოლო სიმკვრივე — დაახლოებით ასი ატმოსფერო, მოწმობს ვენერას ატმოსფეროს მოდელის უდიდეს სიზუსტეს, რომელიც აგებულია წინა აპარატების მიერ მიღებული მონაცემების საფუძველზე. და ბოლოს, ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ აპარატი მოქმედებდა ზუსტად, იმის მიუხედავად, რომ საპლანეტთაშორისო სივრცეში ოთხი თვის ფრენის დროს გადალახა უდიდესი მანძილი—სამასი მილიონი კილომეტრი. რაც შეეხება 66 მილიონი კილომეტრი მანძილიდან დედამიწაზე ინფორმაციის გადმოცემას, რასაც რადიოტალღების გამოვლისათვის ოთხ წუთზე ცოტა ნაკლები დრო სჭირდება, ეს ჩვენს დღეებში გაკვირვებას არ იწვევს, რამდენადაც დამუშავდა და „კოსმოსურ ყოფა-ცხოვრებაში" დამკვიდრდა შესაბამისი ტექნიკა. ამ მანძილზე—66 მილიონ კილომეტრზე — იმყოფებოდა ვენერა დედამიწიდან პლანეტაზე გაზომვებისა და ფოტოგადაღების დროს. მაგრამ ამ შემთხვევაში შეიძლება მკითხველმა გვკითხოს, რატომ გადალახა აპარატმა ხუთჯერ უფრო მეტი მანძილი, ანუ 300 მილიონი კილომეტრი, როგორც ზევით ვთქვი? რა თქმა უნდა, შეგვეძლო აპარატის გაშვება უმცირესი მანძილის გადალახვის ანგარიშით, ანუ იგი პირდაპირ ვენერასაკენ გაგვეშვა, როდესაც პლანეტა მზის გარშემო ბრუნვისას თავის ორბიტაზე დედამიწასთან ყველაზე ახლო მოვიდა. მაგრამ ამას დასჭირდებოდა დიდი ენერგიის დახარჯვა. აპარატი მზის გარშემო ორბიტაზე გაუშვეს ენერგიის უმცირესი დახარჯვით, სხვანაირად რომ ვთქვათ, რამდენსამე ხანს იგი „მზეს გადავულოცეთ", ხოლო შემდეგ შესაძლებელი გახდა მისი ვენერას გარშემო ორბიტაზე გადაყვანა და იქიდან პლანეტის ზედაპირზე დასაშვები ხელსაწყოების აპარატის დასმა. ყველა ეს მოქმედება გაანგარიშებულია ზუსტი მათემატიკური საშუალებებით ელექტრონულ გამომთვლელი მანქანით, ციური მექანიკისა და ასტროდინამიკის კანონების საფუძველზე.

ვენერა გამოკვლევისათვის ძალზე საინტერესო პლანეტაა. მარტო ისეთი მახასიათებლებით, როგორიც არის სიდიდე, მასა, ატმოსფერული გარსის არსებობა, იგი ჩვენს მშობლიურ პლანეტას წააგავს. სხვა მახასიათებლებით — ატმოსფეროს შემადგენლობით, ღრუბლების ხასიათით, ზედაპირის აგებულებით, — დედამიწისაგან ძალზე განსხვავდება. მისი გამოკვლევა ნათელს ჰფენს დედამიწის აგებულებას, წარმოშობასა და ევოლუციას. ამ თვალსაზრისით ნებისმიერი პლანეტის შესწავლას თავისი წვლილი შეაქვს დედამიწის წარსულისა და აწმყოს შესახებ ჩვენს ცოდნაში. მაგრამ ვენერა იმით განსხვავდება, რომ იგი „ცოცხალი" პლანეტაა, ანუ, მის ატმოსფერულ გარსში გამუდმებით მიმდინარეობს მასების შერევის, სიმკვრივის შეცვლის, აეროზოლების წარმოქმნის, ელექტრულ მოვლენათა წარმოშობის მძაფრი პროცესები და ა. შ. სრულიად შესაძლებელია, რომ ვენერაზე ხდება ვულკანების ამოფრქვევა და სეისმური მოვლენები, ანუ „ვენერისძვრა".

ვენერას ბუნების შესახებ ბევრი რამ შეიძლება გვაცნობონ მისი ზედაპირის ფოტოსურათებმა, რომლებიც გადაღებულია ფილტრებით სპექტრის სხვადასხვა ნაწილის გამოსხივებაში. ასეთი ფოტოსურათები უკვე მიღებულია. მათ დამუშავებას, შედეგების ანალიზსა და დასკვნას დიდი დრო დასჭირდება. შედეგებს დიდი ინტერესით ელიან ასტრონომებიც, რომლებიც დედამიწაზე არსებული საშუალებებით იკვლევენ ვენერასა და სხვა პლანეტებს. კოსმოსური ეპიზოდური და დედამიწიდან განუწყვეტელი გამოკვლევები წარმატებით ავსებენ ერთმანეთს.

ამჟამად შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ „ვენერა-13"-მა გადაგვიშალა იმ წიგნის ახალი ფურცელი, რომელიც მოგვითხრობს ცისკრის ბუნების შესახებ. სწორედ ეს არის საბჭოთა მეცნიერების დიდი მიღწევა.

ქალი — დედა, ოჯახის და ქვეყნის ბურჯი

მშვიდობის სახელით

ართაშორისო დაძაბულობის დღევანდელ ეტაპში ქალთა მოძრაობა თავის უმნიშვნე- ამოცანად თვლის ბრძოლას ომის გამ- ების წინააღმდეგ.

ახალი ეტაპის თვალნათლივი გამოხატულებაა ან ოქტომბერში პრაღაში გამართული ქალთა ლიო კონგრესი, რომლის დევიზი იყო თანა- ობა, ეროვნული დამოუკიდებლობა, მშვი- ბა.

ორე მსოფლიო ომის შემდეგ, მშვიდობის ტაციებისათვის ბრძოლაში ქალები განსაკუთ- აქტიურად მონაწილეობენ, და რაც დრო მით უფრო მრავალრიცხოვანი ხდება ქა- რიგები, რომლებიც მტკიცედ და საკუთარი ცხლის საფრთხის ფასად იმაღლებენ ხმას გამჩაღებელთა წინააღმდეგ, სიცოცხლის მა- რიერ მოსპობის იარაღის წარმოების აკრძალ- თვის, გამალებული შეიარაღების აღკვეთისა- ს.

ორედ ახალი ომის გაჩაღების საშიშროებამ იბა სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური ის ქალთა ორგანიზაციების წარმომადგენ- 1981 წლის 8 ოქტომბერს პრაღაში.

ისშემდგომი წლების მა- ზე მე მომიხდა უშუალო ნაწილეობა მიმეღო ქალთა ერთი კონგრესის მუშაო- , და მინდა დიდი კმაყო- ებით აღვნიშნო ის მაღა- პოლიტიკური სიმწიფე, ელიც ახასიათებდა ქალ- ამ უკანასკნელ მსოფლიო გრესს. სულ რამდენიმე ს წინათ ვინ იფიქრებდა, ქალთა რელიგიური თუ ბურჟუაზიული ორგანი- ებისა და ქალთა დემოკ- ული ფედერაციის წარ- ადგენლები ერთ მაგიდას უსხდებოდნენ და ერთ- ოვნად მიიღებდნენ გადაწყვეტილებას, დაგ- ენენ რომელიმე კაპიტალისტური ქვეყნის რობის მოქმედებას.

გრამ იმდენად დიდია მასობრივი მოსპობის ღის გამოყენების საშიშროება და იმდენად არდა ქალთა ფართო მასების შეგნება, რომ ილახა ის შედარებით მეორეხარისხოვანი ამდეგობები, რომლებიც ახასიათებდა და საც ახასიათებს ამ ორგანიზაციებს.

აი, ქალთა მსოფლიო კონგრესზე წარმოდგე- იყო 132 ქვეყნის 234 ეროვნული ორგანი- , 96 საერთაშორისო არასამთავრობო ორგა- ცია, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელი. კონგრესის მუშაობაში მო- ლეობდნენ არა მარტო ქალთა ორგანიზაციე- არამედ სხვა არასამთავრობო კავშირებიც: გაზრდობის, მშვიდობის მომხრეთა, პროფე- ლი, რელიგიურიც კი.

ესა ფართოდ გამოეხმაურა ამ ფორუმს. კონ- ს ესწრებოდა 500 ჟურნალისტი და კორეს- ენტი, სხვადასხვა ქვეყნის გაზეთების, ჟურ- ების, რადიოსა და ტელევიზიის თანამშრომლე- საბჭოთა კავშირის კინოქრონიკამ უკვე შექმნა მი კონგრესზე, რომელიც, ალბათ, ამ მოკლე გამოვა ფართო ეკრანზე.

ქტობრივად კაცობრიობას ჯერ არ გამოუცდია სადაც ბირთვული იარაღი გამოეყენებინოთ. ღერთი ატომური ბომბი, რომელიც 1945 6 აგვისტოს ჩამოაგდეს ხიროსიმაში, თავისი ძალით და მოქმედების მასშტაბით, რა თქმა უნდა, ვერ შეედრება თანამედროვე წყალბადის თუ ნეიტრონულ ბომბს. და მაინც, არ შემიძლია არ ვთქვა, თუ რა შთაბეჭდილებას ახდენს ხიროსიმის მუზეუმი თავისი ფოტოსურათებით, რომლებზეც აღბეჭდილია ადამიანთა არნახული ტანჯვა, ათასობით დამწვარი სხეული, დამწვარი ადამიანებით გაჭედილი მდინარე. ჩანს საშინელმა ცეცხლმა როგორ გაალღო და ერთმანეთს დაადუღა ფაიფურის და თიხის ჭურჭელი, ერთმანეთს შეადუღა კრამიტები სახლების სახურავებზე. ეს საგნები შემაძრწუნებელ შთაბეჭდილებას ტოვებს, ისინი ხელშესახები ნივთიერი საბუთებია იმ ბოროტმოქმედებისა, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ჩაიდინა 37 წლის წინათ.

გამალებული შეიარაღება მარტო მოსალოდნელი შედეგით არ არის საშინელი. იგი უკვე ახლა, ამჟამად დამღუპველად მოქმედებს კაცობრიობის ეკონომიკაზე თავისი გავლენით.

ამჟამად სამხედრო იარაღის წარმოებაზე დასაქმებულია 50 მილიონი ადამიანი. ე. ი. 50 მილიონი კაცი არ ხნავს და არ თესავს, მეცნიერთა მეოთხედი მუშაობს შეიარაღების პრობლემაზე. შეიარაღებაზე ყოველდღიურად იხარჯება მილიარდი დოლარი. და ეს მაშინ, როდესაც დედამიწის მოსახლეობის მესამედი მოკლებულია სამედიცინო დახმარებას, მეხუთედი უწიგნურია, ცხადია, მათ შორის უმეტესად ქალები, მეშვიდედი შიმშილობს, მათ შორის 15 მილიონი ბავშვი.

ამ ფაქტებს ვერავინ ვერ უგულებელყოფს. უტყუარმა საბუთებმა მსოფლიოს მრავალ მილიონ ადამიანს აუხილა თვალი. სწორედ ამიტომ მიიღო კონგრესმა ერთხმად დეკლარაცია, რომელშიც აისახა სოციალისტური წყობილების პირობებში მოპოვებული მიღწევები, აღბეჭდილია ქალების მდგომარეობა კაპიტალისტურ და განვითარებად ქვეყნებში, განსაკუთრებით ომისა და აგრესიის მსხვერპლ ქვეყნებში, სადაც ქალებს თავისუფლებებისათვის ბრძოლასთან ერთად იარაღით ხელში უხდებათ ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება და დაცვა.

კონგრესმა მიიღო მოწოდება, რომელიც გმობს ამერიკის შეერთებული შტატების მილიტარისტულ პოლიტიკას, სამხრეთ აფრიკის აგრესიას მეზობელ ქვეყნებში, ისრაელის ექსპანსიას არაბეთის ნახევარკუნძულზე.

დელეგატებმა აღუთქვეს კონგრესს, რომ ყველა კეთილი ნების ადამიანთან ერთად შეუპოვრად იბრძოლებენ ომის გამჩაღებლების წინააღმდეგ, გამალებული შეიარაღების აღკვეთისა და დაძაბულობის შენელებისათვის.

სულ რამდენიმე დღის წინათ მოსკოვში გაიმართა საბჭოთა ქალების კომიტეტის პლენუმი, რომელმაც მიიღო მოწოდება საბჭოთა ქალებისადმი და დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ, საბჭოთა ქალები ძალასა და უნარს არ დავზოგავთ, რათა განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის — მშვიდობის ბურჯის ძლიერება.

ნინო ჯავახიშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი.

ორი დედა?

ედა ერთია ამ ქვეყანაზე!.. ამ წერილს ვერ ორ დე- ბე, ერთი და იგივე ბავშ- ის ორ დედაზე!

978 წლის ზაფხული, შო- ლი ფერეიდანიდან სამ- ლოში დაბრუნდა კიდევ ი ქართული ოჯახი უშან- აბრამიშვილისა და სიმინა ტაშვილისა. ოცდარვე ის იყო მაშინ სიმინა და ბ ხუთი შვილის დედა გა- დათ. საქართველო იყო მი- უცვლელი ოცნება და ვრების მიზანი. ისეთი სი- ული და ბედნიერება არა- როს ღირსებია, როგორც ან, როცა საქართველოს აზე დადგა ფეხი. ნეტა მა- თუ იფიქრებდა, რა ხან- ლე გამოდგებოდა მისი არულიც და სიცოცხლეც! მცა ხანმოკლე არ ითქმის, ადისობაში დაიფერფლა დაინაცრა მისი ახდენილი ნება, შვილები ხომ დაუ- უნა მშობელ ქვეყანას, ი შვილი — ხუთი იმედი ხუთი სიხარული...

ახეთში დასახლდა მათი ახიც — გურჯაანის რაიო- სოფელ ახაშენში. აბრა- ვილების ოჯახს მშვენიერი სართულიანი სახლი აუშე , საკარმიდამო ნაკვეთში ენებული ვენახი, საქათმე- — ქათმეჯი და საძროხეში ხა დაახვედრეს. დასახლდა კიდევ ერთი ბედნიერი ქართული ოჯახი, ფრთა გაშალეს აბრამიშვილებმა. უშანგმა მძღოლად დაიწყო მუშაობა სამტრესტის გურჯაანის ღვინის ქარხანაში. მშობლებმა და შვილებმა ერთად დაიწყეს ქართული წერა-კითხვის შესწავლა. ქართულ ენას კი, სამ საუკუნეს გამოვლილ მშობლიურ ენას, კარგად ფლობდნენ.

ახაშნელებმა შეიტკბეს და შეისისხლხორცეს დაბრუნებული ქართველები.

სიმინას იქ, ფერეიდანშივე აწუხებდა თავის ტკივილი. ხშირად თვალთ უბნელდებოდა, ცხოვრების მძიმე პირობებმა აშკარა დაღი დაასვა მის ჯანმრთელობას. იცოდა, რა საშინელი სენი სჭირდა, მაგრამ ამბობდა: ორი დღეც რომ ვიცოცხლო, მაინც წავალ საქართველოშიო. მხოლოდ ერთი წელი იყო ბედნიერება და ლხინი აბრამიშვილების ოჯახში. ერთ დღეს სიმინამ ლოგინიდან ადგომა ვეღარ შეძლო. უკურნებელმა სენმა ხელი დარია და ორი წელი საწოლს მიაჯაჭვა. საბრალომ სიკვდილის წინ მხედველობა სულ დაკარგა, მაგრამ შვილებს ეუბნებოდა, ვხედავო, ატყუებდა, არ უნდოდა ბავშვებს გული ტკენოდათ... ქართულ მიწას მიაბარეს ფერეიდანში დაბადებული ქართველი ქალი.

სიმინას შვილებისათვის უდედობა არ შეიძლებოდა, ხუთ ბავშვს მოვლა უნდოდა და მათაც დედა გამოუჩნდათ..

... ძალიან უჭირდა დამწუხრებულ ოჯახში შესვლა ნელის, მაგრამ გულს იმშვიდებდა, რაღაცას გავახერხებო...

ვინ იცის, რამდენი უძილო ღამე, რამდენი ფიქრი და ზრუნვა დასჭირდა ნელის, ამ ბავშვების გული რომ მოეგო. მხოლოდ მაშინ გაიხარა, თავისუფლად ამოისუნთქა, როცა ბავშვებმა დედა დაუძახეს. დედას მონატრებულმა ბავშვებმა დედის სითბო იგრძნეს, გულით მიენდნენ და შეიყვარეს იგი. ბავშვები კი ერთმანეთზე სანდომიანი არიან: უფროსი—რეზო უკვე მეცხრე კლასში სწავლობს, ძალზე სერიოზული ახალგაზრდაა. მომდევნოები — 12 წლის შორენა და 10 წლის ახმადი ფრიადოსნები არიან, მეორეკლასელი ჰამლეტი მარდი და ენერგიული ბიჭუნაა, სულ უმცროსი აზა შვიდი წლისაა.

ბევრი საქმე აქვს ოჯახში ნელის: აქ ძროხაა მისახედი, იქ ვენახია მოსავლელი, სკოლაშიც უნდა შეიაროს, ბავშვების სწავლის მდგომარეობა იკითხოს. საქმეს რა დაულევს ხუთი შვილის დედას. მადლიანი ქალია, დაილოცოს მისი გამზრდელიო, ამბობენ მეზობლები.

ლ. მიტიჩაშვილი.

ცვლაში — მხოლოდ ქალები

წარმოო გაერთიანება „ჭია- მანგანუმის" წინსოფლის დრებელი ფაბრიკის ცვლამ, ელსაც ლალი ქორქოლიანი ურობს, პირად ანგარიშზე ერა მიმდინარე წლის დამ- დან გეგმის გადაჭარბებით ტონა მანგანუმი. ეს 200 ით აღემატება გასული წლის ამისი პერიოდის მაჩვენებ-

მაღალნაყოფიერ შრომას ლალი ქორქოლიანი სწავლას უხამებს. წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მან დაამთავრა საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჭიათურის ფილიალი სპეციალობით „მადნის გამდიდრება". მალე ახალგაზრდა ინჟინერი დანიშნეს ცვლის უფროსად. ახლა ამ ცვლაში მარტო ქალები მუშაობენ. წარმოების მოწინავენი — მზია ქოჩლაძე, მანანა ნადირაძე, ნანული ყიფშიძე, ნანა გელაშვილი და სხვები ცვლაში რეცხავენ დავალების გადაჭარბებით თითოეული 6-8 ტონა მადანს. სულ საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმში" დაახლოებით 2000 ქალი შრომობს. აქედან ყოველი მეათე წარმოებისაგან მოუწყვეტლივ უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს. (საქინფორმი).

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საქმეში თავარ როლს ასრულებს სამეცნიერო-ტექნიკური სისტემა, რომ- ს მეთაური ორგანიზაცია რესპუბლიკაში მეცნიერებისა და ქნიკის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული საქართველოს მეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომი- ურ გამოკვლევათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტია. ამ ინსტიტუტის საცნობარო-საინფორმაციო განყოფილება ერთ- რთი წამყვანი რგოლია.

სურათზე: განყოფილების ახალგაზრდა ინჟინრები ლილი შაშ- იაშვილი და ნინო ფირცხალავა.

ჯ. ლომაძის ფოტო.

იზეიმე, ბედნიერო ქალო!

მთვარე მკრთალი,
ვით სადაფის ლილი,
ლურჯ პერანგზე
ასწყვეტია ზეცას,
მოქრის სიო
და ნათელი დილის
სადედოფლო კაბის კალთებს
ვერცხლავს...
ახლა სადღაც
ტკბილად მღერის ქნარი,
ახლა გულსაც
მართლაც ლხენის დრო აქვს
მოდის, მოდის
ბედნიერი ქალი,
ღიმილი და
სიყვარული მოაქვს...

ბროლის ნამი
გამოვტაცეთ ვარდს და
ქართულ ზეცის
სადღეგრძელო შევსვით
და ცხელ მკერდში
ახლა გულის ნაცვლად
გვიფართქალებს
ჯერ უთქმელი ლექსი...
და ის ლექსიც
შენ გეკუთვნის მხოლოდ;
შენს კურთხეულ
ჩუქურთმოვან მთა-ველს,
რომ დიდებულ
დღეთა სამახსოვროდ
სულ უმღერდეს
შენს მზეთამზე ქალებს...
ქალს მშენებელს,
პედაგოგს და ექიმს,
ქალს შემოქმედს,
სპორტსმენს, მფრინავს, მუშას
დედას, ხატრფოს,
დიასახლისს კეთილს,
მშვიდობის და
კომუნიზმის გუშაგს.

რადგან საქმით
ვაჟკაცს გაუტოლდით,
რადგან ქვეყნად
ღიმილია ფერთა,
მშვენიერო ასულებო,
მოდით,
ჩვენს ტკბილ მამულს
ვუგალობოთ ერთხმად!

ეთერ სამხარაძე.

● ●

გმირთა გამზრდელმა...

ჩვენს მიწას უდგას
სული ღვთიური,
ზედ განფენილა
მეჯლისი ფერთა.
მე დავიწყე
ღმერთი ციური
და საქართველო
ვიწამე ღმერთად.
ვერვინ მოგვთხარა,
ვერვინ გაგვთელა,
ვერვინ ჩაუქრო
ქართველს მზეგული.
გმირთა გამზრდელმა
დედამ ქართველმა
გადაგვირჩინა
მამულ-დედული.
არ დაჯაბნილა
არასდროს ცრემლით
ქართველი დედის
სიცოცხლე ძნელი;
ერთი ხელით რომ
არწევდა აკვანს,
მახვილს იქნევდა
მეორე ხელით.
დღეს ჩვენს მიწაზე
ტკბილი დარია,
ციდან გვიღიმის
მზე დიდებული.
უკვდავებასთან
წილნაყარია
ჩვენი სიცოცხლე
გამარჯვებული.
მრისხანე ჟამთა
გამოცდილებით
ჩვენ უნდა ვჭედოთ
ჩვენივე ბედი,
მუდამ გვახსოვდეს,
რომ ვართ შვილები
ჭირთამძლეველი
ქართველი დედის.
არ დაჯაბნილა
არასდროს ცრემლით
ქართველი დედის
სიცოცხლე ძნელი.
ერთი ხელით რომ
არწევდა აკვანს,
მახვილს იქნევდა
მეორე ხელით.

აკაკი გეწაძე.

● ●

ხალხურ მოტივზე

ზეცა დამყურებს კრიალა
თვისი ურიცხვი თვლებითა,
ლოცვა ჩამესმის ვიღაცის,
თოლი მევსება ცრემლითა.
ზეცა ზურმუხტის ფერია,
მიწას იმედით დავალ და...
ვმდიდრდები, ისე ვმდიდრდები,
ვიტყვი, ღარიბი არა ვარ.
მე სხვა რამეებ არ მინდა,
სიწმინდევ, სულსა მავალო,
ჩემი სამშობლო აქ არის,
აბა, მე საით წავალო.

იზა ჯაჭვაძე.

სიკეთეს თესავს

სიხარული და სიყვარული ზეიმობდა. საზეიმო სუფრას უსხდნენ მხიარული სტუმრები და ენაწყლიანი თამადა, ოღონდ... ოღონდ დიასახლისი არ ჩანდა...

სად იყო? — სტამბაში, გაზეთის გამოსასვლელი ნომრის გასუფთავებას ელოდებოდა დაბეჭდვასა და გავრცელებაზე ხელის მოსაწერად. გაზეთი ხომ ერთი ახირებული რამეა. ზოგჯერ ფიქრობ, წუთში მორჩებაო და საქმე კი საათობით გაგვიანებს.

...და პატარძალი — გორის რაიგაზეთის რედაქტორი დარეჯან ქარელი — სილამაზის სალონიდან კი არა, პირდაპირ სტამბიდან გამოეშურა საქორწილო სუფრისაკენ.

ეს იყო წლების წინათ...

მას შემდეგ სამ ათეულ წელზე მეტმა განვლო. დარეჯან ქარელი ათი წლის მანძილზე უძღვებოდა გორის რაიონულ გაზეთს. იყო ძიება, შემოქმედებითი წვა, ზრუნვა, სიხარული, ზოგჯერ წაბორძიკებაც... მაგრამ იყო რწმენა, შემართება, შვილივით საყვარელი გაზეთი და კიდევ უფრო ძლიერი, უფრო მაღალი გრძნობა ოჯახის სიყვარულისა.

სტრიქონებზე დათენებულ ღამეებში თვალსა და ხელს შუა გაპარულა დრო. დარეჯანი, თუმცა თმაში ჩამოათოვა, ჩვეული ახალგაზრდული ენერგიითა და ხალისით საქმიანობს რედაქციაში.

აი უკვე ორი ათეული წელია, გორის საქალაქო და რაიონული გაზეთის „გამარჯვების" რედაქტორის მოადგილეა. კვლავ მახვილად გრძნობს მკითხველის გამჭოლ მზერას. იცის, ეს ეპოქის მზერაა, მომავლის მზერაა!

— უნდა გამოვიჩინოთ მეტი ინიციატივა, ვეცადოთ დავაინტერესოთ, გავიყოლიოთ მკითხველი! — ასეთია ვეტერანი ჟურნალისტის დარეჯან ქარელის მუშაობის დევიზი.

დარეჯან ქარელს თავისი ცხოვრება უგაზეთოდ ვერ წარმოუდგენია. ასევეა „გამარჯვების" რედაქციაც — უმისოდაც არავის ესახება. ბრძოლისუნარიანობა, საქმის სიყვარული, მომთხოვნელობა და ხასიათის სიმტკიცე, დამაჯერებელი საუბარი და კეთილი ღიმილი — აი ის შტრიხები, რომლებიც მის პიროვნებას ღირსეულ მოქალაქეობრიობას ანიჭებს. ამიტომაც ანდეს მას ქალაქის ქალთა საბჭოს თუ სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის წევრობა, საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირის გორის პირველადი ორგანიზაციის მდივნის თუ ლექტორ-მომხსენებლის მოვალეობა.

სასიამოვნოა, რომ ეს ნიჭიერი ჟურნალისტი ღირსეული დედა და მეუღლეც არის, მზრუნველი და მოსიყვარულე ბებიაც.

ახალგაზრდა ჟურნალისტების დამხმარე და დამრიგებელია „დეიდა დარეჯანი". ყველა ახალბედას შვილივით არიგებს და ფაქიზად უსწორებს, რომ სიძნელემ არ შეაკრთოს, მისი გადალახვა ასწავლოს.

სიკეთეს თესავს დარეჯან ქარელი, იცის, რომ მასვე უხვად მოიმკის.

ლ. ჭანკოტაძე,
საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირის გორის სარაიონთაშორისო განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი.

ხელობა და ხელოვნება



„ლურჯი ფრინველი" ეწოდება ორჯონიკიძის რაიონის ქალთა კლუბს, რომელიც საქართველოს პროფკავშირთა კულტურის სასახლესთან არსებობს.

ამ დღეებში ორჯონიკიძის რაიონის ქალთა საბჭომ და კლუბმა მოაწყვეს ფრიად ორიგინალური გამოფენა მხატვრული ქსოვის ნიმუშებისა.

ათი წელია ამ კლუბში მხატვრულ ქსოვას ხელმძღვანელობს ელისაბედ უშვერიძე, რომლის მოდელების მიხედვით შექმნილია ძირითადად ეს მშვენიერი, ერთმანეთზე უკეთესი კაბები, კოსტიუმები, მოსასხამები, გადასაფარებლები.

ქალის ხელებს ხელობა ხელოვნებად უქცევია და, რაც მთავარია, აქ, გარდა ქსოვის თანამედროვე ხერხების და მოტივების დაუფლებისა, ძველი ეროვნული ქართული მოტივების აღდგენა-გამოყენებასაც ცდილობენ.

სურათებზე: გამოფენის ერთ-ერთი კუთხე; ქართულ ეროვნულ მოტივზე ნაქსოვი მოსასხამი.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

მსახიობის ერთი როლი

● ●

რწმენა საკუთარი თავისა

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში დადგმული პიესა „პროვინციული ამბავი" საქართველოს თეატრალური საზოგადოების ყოველწლიური კონკურსის „თანამედროვეობა და თეატრის" გმირი გახდა. ამ პიესასთან დაკავშირებით 1980–1981 წლების სეზონში კონკურსში გაიმარჯვეს: პიესის ავტორმა, დრამატურგმა ლალი როსებამ, პიესის დამდგმელმა რეჟისორმა მედეა კუჭუხიძემ, მთავარი როლის შემსრულებელმა მსახიობმა გურანდა გაბუნიამ და რეცენზენტმა, თეატრმცოდნემ, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, პროფესორმა ნათელა ურუშაძემ.

დროთა განმავლობაში თეატრალური გამომსახველობის ფორმები იცვლება, ხოლო მისი ძირითადი დანიშნულება ყოველთვის იყო და არის თანადგომა სიმართლესთან, ჭეშმარიტებასთან. სპექტაკლის ან როლის მიმზიდველობა კი ამ კომპონენტთა ორიგინალური, თეატრალური ენით ამეტყველებაზეა დამოკიდებული. ფარდის ახდის შემდეგ მაყურებლისათვის არსებობს მხოლოდ სცენა, სადაც რეჟისორის ნიჭისა და ტალანტის ბედი ძირითადად დამოკიდებულია მთავარ მოქმედ გმირზე.

როლების განაწილებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მსახიობისა და პიესის გმირის სულიერ კავშირს, „პროვინციულ ამბავში" გურანდა და ნინო ერთმანეთს შეეწყნენ და სიყვარულის, სიკეთის, სათნოების საინტერესო სახე შექმნეს. სპექტაკლში ნინოს ყოველი მოძრაობა, სიტყვა, მიმიკა გამორიცხავს ბოროტებას, მისთვის სამყარო მხოლოდ კეთილი ადამიანებით არის დასახლებული და, რადგან ირგვლივ მხოლოდ სიკეთე წარმოუდგენია, საკუთარი ბედის ვარსკვლავის გაბრწყინებასაც ელოდება, რომელსაც განხორციელება არ უწერია. მისი უმთავრესი საფიქრალი უზომოდ შეყვარებული ქმარი და დაა.

გ. გაბუნია ამ როლით გასული სეზონის საუკეთესო მსახიობ ქალად აღიარეს. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის მსახიობურ ნიჭს და მ. კუჭუხიძის, როგორც რეჟისორის, უტყუარ ალღოს.

დღეს, როდესაც ქართული თეატრი დიდი თეატრალური ტრადიციის მქონე ქვეყნების თეატრმცოდნეებმა ორიგინალურ, თვითმყოფ თეატრად გამოაცხადეს, როდესაც ჩვენს თეატრალურ ცხოვრებას თვალს ადევნებს მსოფლიოს თეატრალური საზოგადოება, გ. გაბუნიას ეს წარმატება მით უფრო მისასალმებელი და სასიხარულოა. ეს სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოსდა გურანდა გაბუნიას მოღვაწეობა ქართულ სცენაზე ამ როლით დაიწყო. მსახიობი ოცი წელია რაც თეატრში მოვიდა და არაერთი საინტერესო სახეც შექმნა, მაგრამ ნინო სხვაა, უფრო განსაკუთრებული და საყვარელი.

— ლალი როსებას ეს პიესა არის ცხოვრებისაკენ ჩემი შემობრუნება, ნინო არის ჩემი ცხოვრების ნაწილი. პრემიერის შემდეგ ვიგრძენი ამაღლება, საკუთარი თავის რწმენა. ჩემი აღიარება ერთნაირად ეკუთვნის მთელ კოლექტივს, განსაკუთრებით კი მედეა კუჭუხიძეს, რომელიც როლზე მუშაობისას არასოდეს ზღუდავს მსახიობს და რეჟისორობასთან ერთად მეგობრულ თანადგომასაც უწევს, — ამბობს გურანდა გაბუნია.

მსახიობისა და რეჟისორის ეს თანადგომა ლ. როსებას „პრემიერაშიც" გამოვლინდა, რომელშიც გ. გაბუნიამ ჩინებულად განახორციელა ადას როლი. აღიარება, პასუხისმგებლობის გრძნობა და შემოქმედებითი სიმწიფე ნიჭიერ ხელოვანს კვლავაც ბევრ საინტერესო სახეს შეაქმნევინებს.

ე. ჯიქია.

* * *

სურათზე: გურანდა გაბუნია ნინოს როლში.

მ. ბაბოვის ფოტო.

აღმზრდელი

ჩვენში ოდითგანვე კარგ ყრმას — ვინ იყო შენი გამზრდელიო — ჰკითხავდნენ. დღეს პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის აღზრდილ ცნობილ შემოქმედთ გოგი შხვაცაბაიასა თუ პაატა იაშვილს, თემურ ჩხიკვიშვილსა თუ გია და ფარნაოზ ჯაფარიძეებს, მრავალ ხელოვნებათმცოდნეს, მოქანდაკეს და არქიტექტორს ასეთი კითხვა რომ დაუსვათ, უყოყმანოდ დაასახელებენ თავიანთ აღმზრდელს, იაკობ ნიკოლაძის მოწაფეს, რესპუბლიკის დამსახურებულ პედაგოგს მერი სარაულს.

მერი სარაული 23 წელია ხელმძღვანელობს ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მოქანდაკეთა წრეს. გამოცდილი პედაგოგი ბავშვებს მხოლოდ თეორიული ცოდნით დამძიმებულ შეხედულებებს როდი სთავაზობს, მისი, როგორც აღმზრდელის, დადებითი მხარეა ის, რომ იგი თავად არის შემოქმედი, მისი პერსონალური გამოფენა შარშანაც მოეწყო თბილისში. გამოფენაზე წარმოდგენილი ქანდაკება, გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრები შემოქმედის მრავალმხრივობის დასტურია. იქნებ ამიტომაც არ უძნელდება ქალბატონ მერის მოსწავლეთა შესაძლებლობების შეცნობა და მათი ნიჭის სწორი გზით წარმართვა.

მ. სარაულს იშვიათად გასძნელებია აღსაზრდელებთან საერთო ენის გამონახვა, იგი იმ პედაგოგთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ცდილობენ ბავშვებს გაუღრმაონ გრძნობები, თავს არ მოახვიონ მათ ის, რაც არ განუცდიათ. ეს არის მიზეზი იმისა, რომ სახელოსნოსა თუ ვესტიბიულში გამოფენილი ნამუშევრები მკვეთრად გამოირჩევიან ერთმანეთისაგან.

პიონერთა სასახლის მეორმოცე წლისთავთან დაკავშირებით მ. სარაულის თაოსნობით საინტერესო გამოფენა მოეწყო, რომელზეც წარმოდგენილი იყო მისი აღზრდილი მოქანდაკეებისა და ამჟამად წრეში გაერთიანებული მოსწავლეების ნამუშევრები.

ნორჩ მოქანდაკეთა ნიჭის გაღრმავების, მათი გემოვნების გაფაქიზებისა და დახვეწის მიზნით მ. სარაულს წრის წევრები ხშირად მიჰყავს თავისი უფროსი აღზრდილების სახელოსნოებში.

მოქანდაკეთა წრე მონაწილეობს ხოლმე ბალტიისპირეთის მოსწავლეთა ყოველწლიურ ერთობლივ გამოფენებში, რომლებიც რიგაში, ვილნიუსსა და ტალინში ეწყობა. ოთხ წელიწადში ერთხელ კი ბალტიისპირელ მეგობრებს თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე მასპინძლობს.

— თბილისის სამხატვრო აკადემიას ამჟამად ჩვენი ოთხი ნამოწაფარი ამთავრებს, შარშანაც ამდენივემ დაამთავრა...— გვეუბნება მერი სარაული.

— ოთხ კურსდამთავრებულთაგან სამნი ასპირანტურაში შესასვლელად ვემზადებით. ეს სახელოსნო საწყისია ჩვენი გზისა, ხოლო მერი მასწავლებელი ჩვენი გზის მომცემი, — მადლიერებით ამბობს ლიზა ეპიტაშვილი.

სახელოსნოში მეშვიდეკლასელი ირაკლი ზალდასტანიშვილი მუშაობს, ვერც კი გვამჩნევს. სუსტ თითებში მოქცეული თიხის ცომი ნელ-ნელა იღებს გარკვეულ სახეს და ახალგაზრდა მოქანდაკის ჩანაფიქრს გვამცნობს. მერი სარაულის გულისყური ბავშვებისადმია მიპყრობილი, ისინიც გრძნობენ ამ ყურადღებას და ვალში არ რჩებიან. იმედია, შეგირდებისადმი აღმზრდელის ასეთი დამოკიდებულება მომავალშიც კეთილ ნაყოფს გამოიღებს და ერს კვლავაც სასახელო შვილები შეემატება.

ჯ. ჯიქიძე.

* * *

სურათზე: მერი სარაული თავის შეგირდთან მეცადინეობის დროს.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

ვაჟას სასთუმალთან

ერთი ფოტოსურათის ამბავი



ალბათ, ბევრ თქვენგანს უნახავს ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმში თუ მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ გამოფენებზე პოეტის ერთ-ერთი უკანასკნელი ფოტოსურათი, რომელიც ლაზარეთში მკურნალობისას გადაუღია. ვაჟას სასთუმალთან დგას თეთრხალათთავსაფრიანი ახალგაზრდა ქალი.

ეს ძველი ფოტოსურათი ახლახან ვნახე ჩემი მასპინძლის, 90 წელს მიღწეული მანდილოსნის, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის **ნინო ციციშვილის** ალბომში, რომლისთვისაც იგი ძვირფას რელიკვიად ქცეულა.

— ამ სურათის ამბავი კარგად მახსოვს, — მიამბობს ქალბატონი ნინო, — მაშინ ჩვიდმეტი წლისა ვიყავი, გიმნაზია უკვე დამთავრებული მქონდა. გრიგოლ მუხაძემ წინადადება მომცა მასთან, ლაზარეთში მოწყალების დად დამეწყო მუშაობა; სიხარულით დავთანხმდი, რადგან ექიმობაზე ვოცნებობდი და ეს ჩემთვის კარგი პრაქტიკა იქნებოდა. სწორედ ამ პერიოდში მომიხდა ვაჟასთან შეხვედრა.

1915 წლის მაისში ქართველმა საზოგადოებრიობამ დიდი ზეიმით აღნიშნა პოეტის სამწერლო მოღვაწეობის 35 წლის თავი. იმხანად ვაჟა უკვე ავადმყოფობდა, მაგრამ იუბილეს მაინც დაესწრო. ორთაჭალაში ღია ცის ქვეშ პოეტის პატივსაცემად დიდი ნადიმი გაიმართა. აქ ვაჟა გაცივდა, სველი პლევრიტი ჰქონდა და მდგომარეობა გაუუარესდა. გადაწყდა საავადმყოფოში დაეწვინათ.

მახსოვს, ორ სანიტართან ერთად მლეთის ქუჩაზე გამგზავნეს, სადაც ვაჟას ძმა სანდრო ცხოვრობდა. პოეტი თბილისში ჩამოსვლისას ბინად ყოველთვის თავის ძმასთან ჩერდებოდა. დავალებული გვქონდა, ვაჟა ლაზარეთში გადმოგვეყვანა.

ავედით მესამე სართულზე. კარი სანდრომ გაგვიღო, ოთახში შეგვიძღვა, სადაც ტახტზე ვაჟა იწვა. მას თავზე ხილაბანდი წაეკრა და ნაბადი ეხურა, ავადმყოფს დიდი სიცხე ჰქონდა და კვნესოდა. თეთრხალათიანები რომ დაგვინახა, უსიამოვნოდ შეიშმუშნა. ჩვენ ვუთხარით, რომ ლაზარეთიდან ვიყავით და მისი წაყვანა გვქონდა დავალებული.

უარი გვითხრა, სანდრომ სცადა დაერწმუნებინა, რომ ექიმების ხელში ყოფნა სჯობდა, და. როგორც იქნა, ისიც დაგვთანხმდა, მხოლოდ სანიტრების ყავარჯნებზე უარი თქვა. ერთი ხელი მე გადამხვია, მეორე — სანდროს და ასე ჩამოვიყვანეთ მესამე სართულიდან. მაშინ ომიანობის გამო სამხედრო ლაზარეთი დროებით უნივერსიტეტის შენობაში იყო მოთავსებული. ავედით მეოთხე სართულზე, სადაც პოეტისათვის წინასწარ იყო ოთახი გამზადებული.

ვაჟას მკურნალობდნენ იმ დროის გამოჩენილი ექიმები: გრიგოლ მუხაძე, ვლადიმერ მახვილაძე, სპირიდონ ვირსალაძე, ივანე გომართელი. მწერლებმა გადაწყვიტეს მისი ფოტოსურათის გადაღება. მოიწვიეს ცნობილი ფოტოგრაფი ევტიხი ჟვანია.

ფოტოგრაფი რომ დაინახა, პოეტმა დამიძახა და მითხრა, ჩემ გვერდით დადექი, კარგი ახალგაზრდა ხარ, საქმე გიყვარს და უთუოდ ექიმი უნდა გამოხვიდეო. ლექსის დაწერასაც დამპირდა, მაგრამ აღარ დასცალდა.

ექიმ გინეკოლოგს ნინო ვაშაკიძე-ციციშვილს კარგად იცნობს ჩვენი საზოგადოებრიობა. მან 1926 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი, და იმ დღიდან ღრმა მოხუცებულობამდე ემსახურებოდა ქალის ჯანმრთელობის საქმეს, სიცოცხლის დაბადებას. ვინ მოთვლის, რამდენ ქალს შეუნარჩუნა ნინო ციციშვილმა ჯანმრთელობა, მიანიჭა უდიდესი სიხარული დედობისა. პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დაუფასეს შრომა ღვაწლმოსილ მკურნალს, იგი დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორდენით, მედლებით, სიგელებით. ამჟამად პერსონალური პენსიონერია, ხარობს თავის შვილებსა და შვილიშვილებში. მაგრამ გული მაინც შინ არ უდგება. ცდილობს თავისი მდიდარი გამოცდილება გადასცეს ახალგაზრდებს, ასწავლოს, როგორ უმკურნალონ უშვილობას და როგორ იზრუნონ ერის გამრავლებისათვის.

ლ. ხუზულური.

* * *

სურათებზე: ნინო ციციშვილი ვაჟა-ფშაველას სასთუმალთან და დღეს.

„კომუნისტის" ინტერვიუ

მოლოდინი

ფანჯრებს მიღმა დაგვიანებული ზამთრის სურათი იხატებოდა, თოვდა, აქ, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ერთ-ერთ ოთახში კი თითქოს ქართული ბალეტის მომავლის დიდი იმედის ნაღვერდალი ღუოდა.

ჟურნალისტმა მართლაც უნდა იოცნებოს ასეთ შემთხვევაზე — ოთახში იყვნენ ამ თეატრის საბალეტო დასის ახალი სამხატვრო ხელმძღვანელი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტი მიხეილ ლავროვსკი, დედამისი — წარსულში ცნობილი ბალერინა, რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ლილი ჩიქვაიძე, საბჭოთა საბალეტო სკოლის კორიფე, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატი ვახტანგ ჭაბუკიანი და საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, ცნობილი მოცეკვავე, ამჟამად დამდგმელი ბალეტმაისტერი ზურაბ კიკალეიშვილი.

* * *

— მოხარული ვარ, რომ ბედმა კვლავ დამაკავშირა მშობლიურ საქართველოსთან, სადაც დავიბადე და გავიზარდე და სადაც პირველად მომიხდა პუანტების ამოსხმა, — ამბობს ლ. ჩიქვაიძე, — ახლა კი ჩემი ვაჟის, მიხეილ ლავროვსკის შემოქმედებითს ბიოგრაფიაში ახალი ხანა იწყება, შემოქმედებითი ძიების ახალი ამპლუა. იგი სათავეში ჩაუდგა ქართულ საბალეტო დასს, თუმცა, ამავე დროს დიდი თეატრის სოლისტადაც რჩება.

მიხეილ ლავროვსკი... საბჭოთა ქორეოგრაფიული ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენელი, ვირტუოზი შემსრულებელი, აგერ უკვე ოცი წელია ამშვენებს სსრ კავშირის დიდი თეატრის სცენას. ძნელია ყველა იმ სპექტაკლის ჩამოთვლა, რომლებშიც მისი ნიჭიერება წარმოჩენილა, და მაინც მის საეტაპო საბალეტო სპექტაკლებად შეიძლება ჩაითვალოს „ჟიზელი", „დონ კიხოტი", „ბაიადერა", „სპარტაკი", „ივანე მრისხანე", „რომეო და ჯულიეტა"...

— როგორ ფიქრობთ, რით უნდა დაიწყოთ მუშაობა? — ვეკითხები პატივცემულ მიხეილს.

— დაბეჯითებით კონკრეტულ ვერაფერს გეტყვით, — ამბობს იგი, — ჯერჯერობით მხოლოდ ნიადაგს ვსინჯავ... და ბევრს ვფიქრობ.

— მაინც, როგორ გესახებათ ქართული ბალეტის მომავალი?

—ჩემი შემოქმედებითი მრწამსი და პოზიცია ასეთია: ქართულ ბალეტს არ უნდა დავუკარგოთ ეროვნული სული, მაგრამ მარტო ეროვნულობითაც არ უნდა შემოვიფარგლოთ, უცილობლად უნდა შევინარჩუნოთ და დავხვეწოთ წარსულის რჩეული დადგმები კლასიკური მემკვიდრეობიდან, ერთი სიტყვით, უნდა შევითვისოთ ყველაფერი საუკეთესო, რაც ეროვნულ და კლასიკურ ქორეოგრაფიას აქვს და სამომავლოდ მისი განვითარება-აღორძინებისათვის უნდა ვიზრუნოთ. შევეცდები ახალი სპექტაკლების დასადგმელად ცნობილი საბჭოთა და უცხოელი ბალეტმაისტერებიც მოვიწვიოთ, თვითონ მე ჩაფიქრებული მაქვს რამდენიმე სპექტაკლის დადგმა. დაწერილი მაქვს ლიბრეტოებიც. კერძოდ, ვ. ჰიუგოს პიესის „რუი-ლაზის" მიხედვით, „პორგი და ბესი" ჯ. გერშვინის ამავე სახელწოდების ოპერის მიხედვით.

პირველ გამოცდას ივნისში ჩავაბარებთ მოსკოველებს ჩვენი თეატრის გასტროლების დროს. თუმც, მანამდე ძალზე მცირე დრო გვაქვს და ბევრს ვერაფერს ვპირდებით მაყურებლებს, ვფიქრობ წარმოვადგინოთ ადანის „ჟიზელის" კლასიკური ვარიანტი, ბახის „ჩაკონა" (გ. ალექსიძის დადგმა) და ა. ბალანჩივაძის „მთების გული" (ვ. ჭაბუკიანის დადგმა).

— თვითონ თუ იცეკვებთ სპექტაკლებში?

— უეჭველად, „ჟიზელი" ჩემი საყვარელი სპექტაკლია. განსაკუთრებით მეორე მოქმედება მანიჭებს უდიდეს სიამოვნებას. ვოცნებობ ვიცეკვო „მთების გულში". ვახტანგ ჭაბუკიანის მიერ დადგმული წარსულში, კერძოდ 30-იან წლებში გახმაურებული ამ სპექტაკლით ხომ თანამედროვე კლასიკური საბჭოთა ბალეტის ეპოქა დაიწყო.

— „მთების გულის" პირველ დადგმებში თბილისსა თუ ლენინგრადში მანიჟეს როლი, პატივცემულო ლილი, თქვენ განასახიერეთ, ხოლო ჯარჯისა — თქვენ, არა, ბატონო ვახტანგ?

— დიახ, — იხსენებს ვ. ჭაბუკიანი, — ლილი ჩიქვაიძე ჩემი დიდებული პარტნიორი იყო წლების მანძილზე. მოხარული ვარ, რომ „მთების გულში" ახლა მიხეილი იცეკვებს, ჩვენი დროის ეს უნიჭიერესი მოცეკვავე, რომლის უნარი, უზადო პლასტიკა და ტემპერამენტი გამორჩეულია სხვა მოცეკვავეთაგან. მიხარია ისიც, რომ სწორედ იგი განაგრძობს საქმეს, რომელსაც ჩემი შეგნებული ცხოვრება, ოთხი ათეული წელი მოვანდომე. იმედი მაქვს, რომ იგი აღუდგენს ქართულ ქორეოგრაფიას წარსულ დიდებას.

* * *

იმ საღამოს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში საბალეტო დასი ვ. ჭაბუკიანის მიერ დადგმულ ლ. მინკუსის „ბაიადერას" უჩვენებდა. პირველ ლავროვსკისეულ დადგმასაც ალბათ მალე იხილავს მაყურებელი. იმედია, ეს დიდი მოლოდინი გაგვიმართლებს!

რ. მუხიგულაშვილი.

სურათზე: მიხეილ ლავროვსკი.

სურათზე: სცენაზეა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლი. სრულდება ცეკვა „მოსავლის ზეიმი".

ვ. გენგიურის ფოტო.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

ჩვენს მკითხველებს, ცხადია, ახსოვთ, რომ შარშან 18 ოქტომბერს გაზეთ „კომუნისტში" დაიბეჭდა წერილი „აღსარება", რომლის ავტორმაც თავისი უიღბლო ქორწინების ამბავი გაგვიზიარა და გვთხოვა, რომ დავხმარებოდით, სამომავლო ცხოვრების რჩევა-დარიგება მიგვეცა მისთვის. ამასთან დაკავშირებით რედაქციამ დიდძალი ფოსტა მიიღო — 200-ზე მეტი მკითხველი გამოეხმაურა „აღსარებას".

შემოსული წერილების განსახილველად რედაქციამ მოიწვია მეცნიერი-ფსიქოლოგი, რომლის მიმოხილვასაც ვბეჭდავთ.

აღსარება ანუ ჭეშმარიტი კავშირის ძიება

ფსიქოლოგის დაკვირვება

ცნობილი ფილოსოფიური გამოთქმაა: ადამიანი თავის თავს სხვაში შეიცნობსო. მაგრამ ადამიანთა ურთიერთობები მარტივი ურთიერთშეცნობით და არც უბრალოდ სივრცეში თანაარსებობით ან თანაცხოვრებით ამოიწურება. ადამიანთა ურთიერთობებს უფრო ღრმა ფესვები აქვს: ადამიანის მოთხოვნილებაა გაუზიაროს მეორეს საკუთარი ფიქრები, მიიღოს ნუგეში და თანაგრძნობა, რჩევა და დარიგება.

დრამატულ სიტუაციებში ადამიანი ცდილობს ხმა მიაწვდინოს სხვას, ეძებს იმას, ვინც ბოლომდე მოუსმენს და გაუგებს. ეს არის ჭეშმარიტი ადამიანური კავშირის არსი, და ფსიქოლოგთა მარტივი დაკვირვებებიც ცხადყოფს, რომ ადამიანები მას შემდეგ განიმუხტებიან მძიმე განცდებისა და ავადმყოფურ-ნევროზული სიმპტომებისაგან, როცა აღსარებით მიმართავენ სხვას — სპეციალისტს თუ არასპეციალისტს, რომელსაც უნარი შესწევს ბოლომდე მოუსმინოს და გაუგოს, ნუგეში მისცეს და სწორად გააანალიზოს მის სულში მიმდინარე ღრმა პროცესები.

„თვითონ სიტყვა „აღსარება" სევდითა და ცრემლით არის თითქმის ყოველთვის დამძიმებული", — გვწერს სტუდენტი ვაჟი „კომუნისტში" გამოქვეყნებულ „აღსარებასთან" დაკავშირებით და ასე ამთავრებს: „ერთი სიცოცხლეც კი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ყველაფერი თქვა, ყველაფერი გამოასწორო. კარგს გავაკეთებთ თუ ცუდს, აღსარება მაინც არ აგვცდება". შეიძლება კატეგორიულად არის ნათქვამი, მაგრამ მაინც სწორია, რამეთუ ადამიანური ყოფიერების სიღრმეებიდან მოდის სურვილი — იყო გულწრფელი, ბოლომდე გაუზიარო შენი სულის საიდუმლო სხვას, რათა მორალური შვება იგრძნო.

რატომ მიმართა „აღსარების" ავტორმა მკითხველთა ფართო აუდიტორიას, მთელ საზოგადოებრიობას? რა ამოძრავებდა მას, სასოწარკვეთილებაში მყოფი ახალგაზრდა ქალი ნუგეშსა და თანაგრძნობას ეძებდა თუ რჩევასა და დარიგებას? იქნებ, ამის მიღმა იმალებოდა საზოგადოების კამათში გამოწვევის სურვილი? ძნელია აქ რომელიმე ერთ მოტივზე შევჩერდეთ, „აღსარების" ავტორს ამოძრავებდა ყველაფერი, ერთად აღებული, და, ალბათ, უფრო მეტიც.

„კომუნისტში" შემოსული მრავალრიცხოვანი გამოხმაურება „აღსარებაზე" იმის მანიშნებელია, რომ ჩვენი საზოგადოება გულგრილი არ დარჩენილა ავტორის ხვედრის მიმართ. გამოჩნდნენ თანამგრძნობი ადამიანები, რომლებმაც გულთან ახლოს მიიტანეს ახალგაზრდა ქალის ნაამბობი და ცდილობენ გვერდში ამოუდგნენ მას. გამოხმაურების ავტორთაგან უმეტესობა ქალია (და ეს გასაგებია), მაგრამ არიან მამაკაცებიც — ახალგაზრდები და ხანდაზმულები, პროფესიითა და სოციალური სტატუსითაც დიდია გამოხმაურების ავტორთა დიაპაზონი: კოლმეურნე და მუშა, დიასახლისი და პენსიონერი, პედაგოგი და ექიმი, იურისტი და ეკონომისტი, სტუდენტი და მოსწავლე...

გავიხსენოთ „აღსარების" შინაარსი და მისი მთავარი პერსონაჟები. „აღსარების" მთავარი პერსონაჟია თვით წერილის ავტორი — ახალგაზრდა ქალი, რომელიც დედის დაჟინებითი მოთხოვნით გათხოვდა ადამიანზე, რომელმაც შემდგომში უღირსი საქციელი ჩაიდინა. პირველ ქმართან გაყრის შემდეგ იგი სიყვარულით გათხოვდა მეორედ და მისგან შეეძინა მეორე შვილი. ახალგაზრდა ქალს ამოძრავებდა კეთილშობილური სურვილი ყოფილიყო მრავალშვილიანი დედა, რათა მის პირველ შვილს ცხოვრებაში ის მარტოსულობა არ ეგრძნო, რომელსაც თვით განიცდიდა თავისი დედისერთობით.

მეორე მოქმედი პირია „აღსარების" ავტორის დედა. იგი ადრე დაქვრივდა, მეორედ არ გათხოვდა და მთელი თავისი არსება ჩააქსოვა ერთადერთი ქალიშვილის აღზრდას. წერილში იგი გამოყვანილია როგორც მზრუნველი დედა და ამავე დროს შვილის პირადი ნების დამთრგუნველი, მისი ბედუკუღმართობის უნებლიე მიზეზი. თავდაპირველად დედამ მოახვია შვილს გადაწყვეტილება გათხოვილიყო ადამიანზე, რომელიც არ უყვარდა. როცა შვილი მეორედ გათხოვდა სიყვარულით, ამას საყვედურებითა და წინააღმდეგობით შეხვდა. დედამ თავისი გაუთავებელი საყვედურებით აიძულა სიძე ოჯახიდან წასულიყო.

მესამე მოქმედი პირია „აღსარების" ავტორის პირველი მეუღლე, რომლის შესახებაც ავტორი ძუნწ ცნობებს გვაწვდის და აღნიშნავს, რომ თავისი უღირსი საქციელის გამო მასთან ცხოვრება შეუძლებელი იყო. მეოთხე პერსონაჟად გვევლინება მეორე ქმარი, რომელთანაც ახალგაზრდა ქალს სიყვარულის გრძნობა აკავშირებდა. იგი ჩასიძებული იყო; ასრულებდა მამინაცვლისა და მამის როლს ოჯახში, მაგრამ სიდედრთან უკმაყოფილების გამო იძულებული იყო მიეტოვებინა მეუღლე ორი შვილის ანაბარა.

რედაქციაში შემოსული გამოხმაურებების შინაარსი მრავალფეროვანია და მათი ანალიზი დაკავშირებულია იმასთან, თუ რა დამოკიდებულებას ავლენენ გამოხმაურებათა ავტორები ზემოაღნიშნული პერსონაჟების მიმართ. ამ დამოკიდებულებებში ჩანს არა მარტო ცალკეული მკითხველების შეხედულებები, არამედ საზოგადოებრივი აზრიც თანამედროვე ოჯახისა და ქორწინების მნიშვნელოვან საკითხებზე.

გამოხმაურებათა ავტორების აბსოლუტური უმრავლესობა თანაგრძნობას გამოხატავს ორჯერ ნაქორწინევი და მიტოვებული ახალგაზრდა ქალის მიმართ, თუმცა მისი ცხოვრების ყველა ნაბიჯს არ ამართლებენ. წერილთა ერთ ნაწილში ხაზგასმულია, რომ ქალის ფუნქციები ოჯახსა და საზოგადოებაში გაცილებით რთულია და მძიმე, ვიდრე მამაკაცისა. ამდენად, როგორც „კომუნისტის" მკითხველთა ერთი ნაწილი — სტუდენტი თ. ძამუკაშვილი (ახმეტა), ეკონომისტი ე. თაკალანძე, მ. ჯავახიშვილი (თბილისი), ე. ანთაძე (რუსთავი), თ. ხმალაძე (ახალქალაქი) და სხვები აღნიშნავენ, ქალს ცხოვრებაში აუცილებლად სჭირდება თანამგზავრი და „აღსარების" მთავარი პერსონაჟის მეორედ გათხოვებას ბუნებრივ და მოსაწონ ნაბიჯად მიიჩნევენ. **განსხვავებულ აზრს ავითარებს მკითხველთა მეორე ნაწილი.** მათი აზრით, ქორწინებაში პირველი მარცხის შემდეგ ახალგაზრდა ქალი მეორედ არ უნდა გათხოვილიყო და ისევე უნდა ჩართულიყო მთელი თავისი არსებით შვილის აღზრდაში, როგორც ეს „აღსარების" ავტორის ცალუღელა დედამ იტვირთა. პენსიონერი ს. ბედიაშვილი, იურისტი ნ. კევლიშვილი (თბილისი), კოლმეურნე ქალი ც. ხვედელიძე (სამტრედია), ნ. კეჩხუაშვილი (გორი) და სხვები უსაყვედურებენ ახალგაზრდა ქალს მეორედ გათხოვების გამო და ბევრი იმასაც აღნიშნავს, რომ უბინაო და უხერხემლო მამაკაცზე მეორედ გათხოვებას სჯობდა მარტოხელას ეტვირთა ცხოვრების სიმძიმე. პირველ შვილს მამინაცვალი რატომ მოუყვანეთ, უსაყვედურებენ ახალგაზრდა ქალს მკითხველები თ. ჭანტურია (აბაშა), მ. კენჭაძე (ქუთაისი), თ. დვალიშვილი, მ. ნიკოლეიშვილი (თბილისი). როგორც ვხედავთ, საზოგადოებრივი აზრი მეორედ გათხოვებაზე ორად გაიყო.

ასევე არაერთგვაროვან შეფასებას აძლევენ მკითხველები განათხოვარი ქალის ჯანსაღ მისწრაფებას — ჰყავდეს მრავალი შვილი. ახალგაზრდა ქალისადმი საყვედურები კულმინაციას აღწევს მაშინ, როცა გამოხმაურებათა ავტორები ეხებიან მის მისწრაფებას გახდარიყო მრავალშვილიანი დედა, რათა დედისერთებისათვის დამახასიათებელი ეგოიზმი და მარტოხელობა უცხო ყოფილიყო მისი შვილებისათვის. კარგია მრავალშვილიანობა, მაგრამ მრავალქმრიანობის ხარჯზე? — კითხვას სვამენ მკითხველები და თვითონვე უპასუხებენ, რომ ნახევარდაძმობა შვილებში ვერ ავითარებს ნამდვილ დედმამიშვილურ გრძნობებს. მკითხველთა ერთი ნაწილი კი ამართლებს და იწონებს ახალგაზრდა ქალის მისწრაფებას — ჰყავდეს მრავალი შვილი თუნდაც სხვადასხვა ქმრისაგან. თ. ბიბლაია ასე მიმართავს ახალგაზრდა ქალს: „თქვენ დამნაშავე კი არა, იდეალური ქალი ხართ". უთუოდ ყურადსაღებია ეკონომისტ ე. თაკალანძის (თბილისი) წერილი, რომელიც გვწერს: „მოწონებასა და ალბათ, მადლობასაც იმსახურებს „აღსარების" ავტორი, რომელმაც მიუხედავად მისი მძიმე სულიერი მდგომარეობისა, შეძლო ამ მდგომარეობის გაანალიზება, შეეცადა გამოეაშკარავებინა ჩვენში შიღებული საზოგადოებრივი აზრის თავისი გაგებით უარყოფითი მხარეები".

მკითხველები არა მარტო საკუთარ აზრს გამოთქვამენ, თანაუგრძნობენ და ამხნევებენ „აღსარების" ავტორს, არამედ მოჰყავთ ფაქტები თავიანთი ბიოგრაფიიდან. აღნიშნავენ, რომ „აღსარების" ავტორის ცხოვრებისეული ბედი არ არის ერთეული და უნიკალური მოვლენა.

მკითხველთა ერთი ნაწილი ახალგაზრდა ქალის ბედუკუღმართობის მიზეზს მის დედაში ხედავს, მეორენი პირდაპირ და მკაცრი საყვედურებით მიმართავენ „აღსარების" ავტორს: „რატომ დედას არ დაუჯერე და რად გათხოვდი მეორედ", „ნუთუ შეიძლება დედის აუგად ხსენება, რატომ არ აფასებთ იმას, რომ დედამ მთელი თავისი ახალგაზრდობა თქვენს აღზრდას შეალია?" და ა. შ.

თითქმის ყველა გამოხმაურების ავტორი ცდილობს დახმარება გაუწიოს ახალგაზრდა ქალს თავისი თანადგომითა და რჩევით. მკითხველთა ერთი ნაწილი მოუწოდებს მას, ბედს შეურიგდეს, მოითმინოს გაჭირვება და მარტოხელამ დედის დახმარებით აღზარდოს ყმაწვილები. „ცუდ მეუღლესთან ყოფნას სჯობია, რომ იმათ ჯინაზე კარგად მოაწყო ცხოვრება, აღზარდო შვილები", — ამბობს ნ. გიორგაძე (ჭიათურა). თბილისელი ექიმი მ. ჭირაქაძე ახალგაზრდა ქალს ურჩევს დაივიწყოს ის, რაც იყო და ეძებოს ცხოვრების ახალი გზა. „მესამედ არ გათხოვდეთ", — აფრთხილებს გ. დარასელია (ოჩამჩირე). მკითხველთა მეორე ნაწილი მოუწოდებს მას შემოირიგოს მეორე მეუღლე. მკითხველი ნ. ქუონია-პატარაია (ლანჩხუთი) ახალგაზრდა ქალს ურჩევს, როგორმე ქმარიც შემოირიგოს და დედაც. „დაუბრუნდი მეორე მეუღლეს, ბავშვების აღზრდისათვის ასე აჯობებსო", — მიმართავენ „აღსარების" ავტორს მკითხველები მ. გადახაძე (ამბროლაური), ნ. მარგალიტაშვილი, პედაგოგი ლ. ბარბაქაძე-ლურსმანაშვილისა. რედაქციაში შემოსულ გამოხმაურებათა ავტორების ერთი ნაწილი კი ურჩევს გამოეყოს დედას, დაუბრუნდეს ქმარს და იცხოვროს მასთან ერთად ნაქირავებ ბინაში. „დედასთან დაშორება არ არის შვილის მხრივ ღალატი, ქმართან დაშორება კი დანაშაულიაო", — თითქოს აჯამებს მკითხველთა დიდი ნაწილის აზრს თბილისელი მ. ჩიკვილაძე. მკითხველთა რჩევაა, რომ ახალგაზრდა ქალმა გამონახოს საკუთარ თავში ძალა, რათა მეუღლესთან ერთად დამოუკიდებლად გაუძლვეს ცხოვრებას, უთუოდ ყურადსაღები და ანგარიშგასაწევი აზრია. ვფიქრობთ, ეს ერთ-ერთი სოციალური პრობლემის, გამრავლების პრობლემის მკითხველისეული გადაწყვეტაა.

რედაქციაში შემოსულ გამოხმაურებათა ავტორები სხვადასხვა დამოკიდებულებას ავლენენ „აღსარების" ავტორის დედის მიმართ. ერთნი ყველაფერში ამართლებენ, მეორენი კი მის მოქმედებაში შეცდომებს ხედავენ. აბაშელი თ. ჭანტურია, ზესტაფონელი ე. ჩხეიძე, გორელი ბ. პაპაიძე, თბილისელი თ. დვალიშვილი, მ. ნიკოლეიშვილი და სხვები ამართლებენ დედას, როცა მან წინააღმდეგობა გაუწია შვილს მეორედ გათხოვებაში, რადგან მიაჩნდა, რომ მამინაცვალი ნამდვილ მამობას ვერ გაუწევდა მის შვილიშვილს. მკითხველთა მეორე ნაწილი დედას ამტყუნებს და უყენებს ბრალდებას — „თავისი წუწუნით სიძე სახლიდან გააქციაო", მკითხველი გ. აბრამია (სოხუმი) კი ასკვნის: დედა ერის გამრავლებისათვის მზრუნველი არ ყოფილაო. დედის ქცევაში ეგოიზმის ელემენტებს ხედავენ მ. ჩიკვილაძე (თბილისი), ს. სოხაძე (ქუთაისი) და, როგორც ერთ-ერთ წერილშია ნათქვამი, „დედამ მარტოხელამ გაზარდა შვილი, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ზრდასრული ქალის ინდივიდუალობა ჩაახშო, ხელი შეუშალო პირადი ცხოვრების მოწყობაში".

გამოხმაურებათა ავტორები არ გამოთქვამენ გამოკვეთილ აზრებს „აღსარების" ავტორის პირველი ქმრის მიმართ, რადგან წერილში გაშიფრული არ არის, თუ კონკრეტულად რით გამოიხატებოდა მისი უღირსი საქციელი. სამაგიეროდ უფრო ვრცლად და დაწვრილებით არის შეფასებული მეორე მეუღლის მდგომარეობა და საქციელი. თუკი ერთნი თანაგრძნობით ეკიდებიან მას და აღნიშნავენ, რომ ჩასიძებული კაცი ისედაც უხერხულად გრძნობს თავს და სიდედრის წუწუნს ველარ აიტანდაო, მეორენი კი აკრიტიკებენ და უსაყვედურებენ: რამ აიძულა ჩამოყალიბებული მამაკაცი მიჰკედლებოდა მოხუც ქალს და სიდედრს, როცა მას მშობლები ჰყავდაო? ვაჟკაცს თავისი „მე" უნდა ჰქონდეს, ის კი უსუსური, უხერხემლო და უნებისყოფო ყოფილა, ასკვნიან ერთნი. სხვები იმასაც დასძენენ, კაცს, რომელსაც შვილის სიყვარულის გრძნობა არ გააჩნია და დაბრკოლების გადალახვა არ შეუძლია, არც სიყვარულის ღირსიაო. და ერთ-ერთი ავტორი ასე ამთავრებს თავის სათქმელს: „თქვენ სწორედ ახლა ხართ ბედნიერი, ასეთ უმწეო მამაკაცს რომ მოსცილდითო".

ასეთია ზოგადად რედაქციაში შემოსულ გამოხმაურებათა შინაარსი.

ჩვენი აზრით, „აღსარების" ავტორის მისწრაფება — ჰყოლოდა მრავალი შვილი — გამართლებულია. ფსიქოლოგთა დაკვირვებები დედისერთა ბავშვებზე ცხადყოფს, რომ ასეთ ბავშვებს უვითარდებათ ხოლმე ისეთი თვისებები, როგორიც არის ეგოიზმი და საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობა, არაადეკვატური თვითშეფასება და კონფლიქტურობა, უიღბლობისა და მარტოობის გრძნობა, რაც ხელს უშლის პიროვნებას შეეწყოს სოციალურ გარემოცვას, დაამყაროს ჰარმონიული ურთიერთობები ადამიანებთან. კიდევ უფრო მძიმე ვითარებასთან გვაქვს საქმე, როცა დედისერთა ბავშვი უმამოდ, განქორწინებულ ოჯახში იზრდება. ისიც დადგენილად ითვლება, რომ ნახევარდაძმობა ჩვეულებრივ დედმამიშვილურ გრძნობებს აყალიბებს ბავშვებში, თუკი ისინი ერთ ოჯახში იზრდებიან, სადაც ცოლ-ქმარს შორის ფსიქოლოგიურად ჯანსაღი ატმოსფერო სუფევს. ეს ვრცელდება იმ შემთხვევებზეც, როცა ოჯახში მამინაცვალია. ამდენად, „აღსარების" ავტორის ცხოვრებისეული პოზიცია უთუოდ სწორი იყო, მით უმეტეს, რომ იგი მეორედ სიყვარულით გათხოვდა. მაგრამ მარცხი, რომელიც ახალგაზრდა ქალმა პირად ცხოვრებაში განიცადა, სწორედ მაშინ მოხდა, როცა ყველაფერი, ერთი შეხედვით, კარგად იყო აწყობილი: ჰყავდა ორი შვილი, საყვარელ ადამიანთან ერთად ეწეოდა ცხოვრების უღელს. იმედების გაცრუებასა და ცხოვრებისეული გეგმების ჩაშლას ყველაზე მწვავედ სწორედ მაშინ განიცდის ადამიანი, როცა იგი თავის მიზანთან ახლოა! ასეთ ვითარებაში საფუძვლიანი იყო „აღსარების" ავტორის ნაბიჯი მიემართა ფართო აუდიტორიისათვის, მკითხველებისათვის, მთელი საზოგადოებისათვის.

დასასრულ გვინდა აღვნიშნოთ: გამოხმაურებათა სიუხვე მეტყველებს, რომ საზოგადოება მორალურ სოლიდარობას უცხადებს ადამიანს, რომელიც ემოციურ და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას საჭიროებს. ცხადია, ყველა წერილის განხილვა სიმრავლის გამო ვერ შევძელით, მაგრამ, იმედია, მკითხველები არ გვიწყენენ.

დღეს ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ ოჯახის და ქორწინების საკითხებზე შეიქმნას კონსულტაციათა ქსელი. იმასაც მოითხოვენ, რომ საჭიროა დაინერგოს მოსახლეობის ფსიქოლოგიური მომსახურების სისტემა, რათა ადამიანებს კრიზისულ სიტუაციებში ვასწავლოთ მოვლენათა სწორი ანალიზი და საკუთარი თავის მართვა, რაც მათ სტრესოგენულ და კონფლიქტურ ვითარებაში ფსიქიკის იდუმალი რეზერვების მობილიზებაში დაეხმარება. (გამოხმაურებაში ამის შესახებაც არის ლაპარაკი.

ფსიქოლოგს შეუძლია გააცნობიეროს ადამიანი მის ქვეცნობიერ ქცევაში, რომელიც ხელს უშლის მას პირადი ცხოვრების მოწყობაში. ამისათვის კი საჭიროა კონკრეტული საუბარი ამ პიროვნებასთან, ფსიქოლოგის პირადი კონტაქტი მასთან, რადგან ზოგადი რეცეპტებით რჩევა-დარიგების მიცემა ვერ არის ხოლმე ეფექტიანი.

როგორც ამას წინათ გაზეთი „კომუნისტი" იტყობინებოდა, თბილისში უკვე ჩამოყალიბდა და მუშაობს ეგრეთ წოდებული ოჯახისა და ქორწინების კონსულტაცია (პავლოვის ქ. №19), სადაც მსურველებს პირადი საკითხების შესახებ შეუძლიათ კვალიფიციური სპეციალისტებისაგან მიიღონ ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური კონსულტაცია.

ნ. სარჯველაძე,

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

რუსუდან ფეტვიაშვილის საოცარი სამყარო...

ეს გამოფენა გვაოცებს, ლაღი მონახაზებიდან გამოსჭვივის სითბო და ბუნებრიობა, სინათლე და კეთილი მსოფლშეგრძნება, სიღრმე და პოეტური შთაგონება. თბილისელი მოსწავლის რუსიკო ფეტვიაშვილის სამყარო ზღაპრული და პოეტური, რთული და თავისებურია, მაგრამ ამასთან ლოგიკურია, წარმოსახულია ბავშვური ფანტაზიისა და მშვენიერი ოცნების უშეცდომო „გაანგარიშებით".

რთული მრავალფიგურიანი კომპოზიციები, სიმბოლური და ალეგორიული გამოსახულებანი, ზღაპრული პერსონაჟები — ყოველივე ეს თითქოს საკუთარი თავის შეცნობაა, იმის ცდაა, რომ უპასუხოს კითხვებს: როგორი ვართ ჩვენ, რა არის ჩვენს არსებაში, როგორ ვეკიდებით სამყაროს და რა არის ბოლოს და ბოლოს კეთილი და ბოროტი?

გრაციოზული ქალის ფიგურის ზეაღმართული ხელები, რომელიღაც ფანტასტიკური არსების ჰომერული სიცილით განიხვნული პირი, ლოყებდაბერილი და დიდცხვირა ოროპინტრეს, შესაძლოა რომელიმე სხვა ურჩხულის თვითკმაყოფილების აპოთეოზი, — ყოველივე ეს 14 წლის მხატვრის შრომებში გამოსახვის ღრმა აზრს იძენს.

რუსუდანი სამყაროს უშუალოდ და ემოციურად ხატავს. მას იზიდავს სილამაზე, მისთვის დამახასიათებელია ყოფიერების სისრულის ოპტიმისტური შეგრძნება — ასეთად ჩამოყალიბდა იგი ნიჭიერი გოგონას მოსიყვარულე გულში. რუსიკოს მხატვრული აზროვნების არსებითი ნიშანია — კონფლიქტი გმირის შინაგან მდგომარეობასა და მის გარეგნულ სახეს შორის, რომელიც ნათელისა და წყვდიადის, სილამაზისა და სიმახინჯის ორთაბრძოლად იქცევა და რომელშიც მუდამ კეთილი იმარჯვებს.

რუსუდან ფეტვიაშვილის ხალასმა ნიჭმა სახვითი ხელოვნების მოყვარულთა ყურადღება მიიპყრო ჯერ კიდევ 1974 წელს, როცა თბილისში გაიმართა შვიდი წლის მხატვრის ნამუშევართა პირველი გამოფენა. შემდეგ მისი ნახატები ექსპონირებული იყო გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" რედაქციაში, ხალხთა მეგობრობის სახლში. ხოლო რამდენიმე თვის წინათ რუსიკოს ნამუშევრების გამოფენამ დიდი წარმატებით ჩაიარა მოსკოვში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის კონფერენცდარბაზში. გამოფენის ბევრი დამთვალიერებელი — მხატვრები, ფსიქოლოგები, ესთეტიკური აღზრდის დარგის სპეციალისტები, რუსუდანის შემოქმედების ფენომენი რომ ნახეს, ცდილობდნენ, როგორც პრესა წერდა, მისი ანალოგიები მოეძებნათ და თითქოს პოულობდნენ ნადია რუშევას ხელოვნებაში, მაგრამ მაშინვე უკუაგდებდნენ მათ, იმდენად თავისებურია ის სამყარო, რომელიც ლაღად, ბუნებრივად და თითქოს უბრალოდ არის წარმოსახული ქაღალდზე.

გამოჩენილმა იტალიელმა მხატვარმა, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატმა **რენატო გუტუზომ**, რომელიც რუსუდანის ნამუშევრებს გაეცნო, შთაბეჭდილებათა წიგნში შემდეგი ჩანაწერი დატოვა: **„დიდად ამაღელვა მხატვრის ოცნების საოცარმა უნარმა, ზებუნებრივის ელემენტებთან შეხამებულმა ბუნებრიობამ, გრაფიკოსის ნიჭმა, ნახატის გამჭვირვალებამ; ძალიან ამაღელვებელია მშვენიერების სამყაროში, თავისი საოცარი ბავშვობის სამყაროში რუსუდანის ფეხის შედგმის ეს მომენტი".**

რუსუდან ფეტვიაშვილის ნამუშევრების გამოფენა გახსნილია თბილისის ბავშვთა სურათების გალერეაში. მიმდინარე წლის მაისში ამ კოლექციას ნახავენ საფრანგეთში. (საქინფორმი).

ჯაბახ

წარმატებას გისურვებთ, მაი

გაზეთი „კომუნისტი" გასული წლის აგვისტოს ერთ-ერთ ნომერში წერდა: „კარგა ხანია „ოლიმპიადა-84"-ს როგორც სპეციალისტები, ისე გულშემატკივრები მაიას ოლიმპიადად მიიჩნევენ. არჩევანი ზუსტია და საფუძვლიანი, ახლა ჯერი თვით მაიაზეა!".

თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-ინტერნატის მე-10 კლასის მოსწავლე მაია ნადიბაიძე ამ პროგნოზებს რომ ამართლებს, ამას საკავშირო სარბიელზე მისი წარმატებები და რესპუბლიკაში უძლიერესი მხატვრული ტანმოვარჯიშის ტიტულის მოპოვებაც მოწმობს.

დიდი გამარჯვება მოიპოვა მაიამ ახლახან რიგაში დამთავრებულ არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის საკავშირო პირად-გუნდურ ჩემპიონატში, სადაც გაუსწრო აღიარებულ ოსტატებს, მათ შორის მსოფლიო ჩემპიონს ე. ტომასსაც, და პირველი ადგილი დაიკავა მრავალჭიდში. ორი ოქროს მედალი მიიღო მაიამ აგრეთვე საგნებით ვარჯიშში. დიდი წვლილი შეიტანა მან ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სპორტსმენთა წარმატებაშიც (II ადგილი). I ადგილი მოსკოვის სამხედრო ოლქის ნაკრებმა მოიპოვა.

ქართული მხატვრული ტანვარჯიშის ისტორიაში მაია ნადიბაიძის აღნიშნული წარმატება რიგით მესამეა ასეთი რანგის შეჯიბრებებში. პირველი გამარჯვება 1962 წელს წილად ხვდა მაიას დღევანდელ მწვრთნელსა და დამრიგებელს, ამჟამად საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელს ნელი სალაძეს „ბურევესტნიკის" საკავშირო პირველობ
ხოლო შემდეგ — ამავე საზ
დოების პირველობაზე — მ
ლიო ჩემპიონს ირინე გაბაშვ
თბილისის ბორის ძნელ
სახელობის პიონერთა და მო
ვლეთა სასახლის მხატვრული
ნვარჯიშის სკოლის წევრი
ნადიბაიძე წელს ამთავრებს
შუალო სასწავლებელს და თ
ლისის სახელმწიფო უნივერს
ტში აპირებს სწავლის გაგ
ლებას. ვუსურვებთ მაიას წ
ტება ორივე ფრონტზე.

ა. ნინოშვილ



სატურნირო ორბიტა

ზამთრის სპარტაკიადა. კრასნოიარსკში საზეიმოდ გაიხსნა სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის V სპარტაკიადა. ამ დიდი ასპარეზობის ფინალური შეხვედრები 16 მარტამდე გასტანს.

ძალოსნობა. ორი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ფრუნზეში მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებაში დონეცკელმა ვიქტორ სოცმა (100 კგ-მდე წონითი კატეგორია). ატაცში მან დაძლია 193 კგ, აკვრაში — 233 და ნახევარ-ნახევარი კილოგრამით გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდები.

ჭადრაკი. ერევანში გრძელდება ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის ზონალური შეჯიბრება. მეცამეტე ტურში ტუკმაკოვმა მოუგო გავრიკოვს, კუპრეიჩიკი დაუზავდა ფსახისს, თამაზ გიორგაძე — ზაიცევს, აგზამოვი — გელერს. დანარჩენი პარტიები გადაიდო. შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტურით ადრე გელერს, ფსახისს და ტუკმაკოვს 8,5-8,5 ქულა აქვთ, იუსუპოვს — 8 (1 გადადებული პარტია). გიორგაძემ 5,5 ქულა დააგროვა.

აკრობატიკა. მინსკში დამთ
რდა საკავშირო ჩემპიონატ
ლთა შორის ხტომაში უძლიერ
იყო სტავროპოლელი ლუდმ
გრომოვა; ქალთა წყვილე
გაიმარჯვეს ვორონეჟელებმა
ლინა სტარცევამ და ლუდმი
გლაზუნოვამ, შერეულ წყვილ
ში — რიგელებმა ილონა იარ
მა და ვადიმ პისმენიმ, ვაჟთა
ხეულებში — კრასნოდარელ
ვიქტორ კურალეშოვმა, ვიქ
ბისტროვმა, ვლადიმერ სიმონ
და კაფიზ იზმაილოვმა.

მძლეოსნობა. მილანში მიმ
ნარეობს ევროპის ჩემპიონ
(დარბაზში). სამხტომში პირ
ლობა მოიპოვა უნგრელმა ბ
ბაკოშიმ (17,13 მ). მინსკელმა
ვალოუკევიჩმა და დნეპროპეტ
ვსკელმა ნიკოლოზ მუსიენ
შესაბამისად მეორე (16,87
და მესამე (16,82 მ) ადგილ
დაიკავეს. ბირთვის კვრაში
ლიერესი იყო ბულგარელი
გინია ვესელინოვა (20,19 მ).
მდევნო ადგილებზე გამოვ
ჩეხოსლოვაკიელი ჰელენა ფ
ნგეროვა (19,24 მ) და მოსკოვ
ნატალია ლისოვსკაია (18,50

სპეციალური კომისია

ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ ჩამოაყალიბა სპეციალური კომისია, რომლის მიზანია ეროვნული ფეხბურთის ჩამორჩენის მიზეზების გამოკვლევა. კომისიას სათავეში უდგას ცნობილი სპეციალისტი მ. ბასბი.

თბილისის
ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს"
სტადიონი
10 მარტს
ამხანაგური შეხვედრა
ფეხბურთში
თბილისის „დინამო" —
მოსკოვის
„ლოკომოტივი"

დასაწყისი 17 საათზე. ბილეთები გაიყიდება 10 მარტს დილის 10 საათიდან „დინამოს" სტადიონის სალაროებში.

გაზეთ „კომუნისტის"
შემდეგი ნომერი გამოვ
ოთხშაბათს, 10 მარტს.

რედაქტორის მოადგ
ლ. კიკნ

ტელევიზია

8 მარტი

პირველი პროგრამით: 9.
— „ვრემია" (მ.), 9.40
ქართული სატელევიზიო დ
კუმენტური ფილმი „მე ვ
ლუბა ნიჟარაძე", 10.00
„მოამბე", 10.30 — სა
ლევიზიო დოკუმენტურ
ფილმი „აღსარება რამა
თან", 11.00 — კომპოზიტ
მ. ცერცვაძის სიმღერებ
11.25 — „გილოცავთ ბე
ბო!", 12.10 — „მულტპან
რამა", 13.05 — ქართუ
მხატვრული ფილმი „მანან
14.15 — უმცროსკლასელთა
ვის „ვიწყებთ ლაპარა
რუსულად" — „გილოცავთ
მარტს!", 14.45 — „ათი
რთული ხალხური სიმღერ
15.40 — მულტიპლიკაციუ
ფილმები, 16.15 — კონცერ
ქალებისათვის, 17.10 — მ
ტვრული ფილმი „ჩალის
დი", პირველი სერია, 18.
— მოსწავლეთათვის „ბა
რინა", 18.45 — მულტპა
კაციური ფილმი, 19.25
ქართული სატელევიზიო
ლმი-კონცერტი — „მღერ
მეფეა ძიძიგური". პრემიერ
20.00 — „მოამბე", 20.
— „ეს გმირთა ჩვენთა ა
სიმღერა" — „იავნანას" ს
ვამარტო გამოშვება, 22.00
„ვრემია" (მ.), 22.35 —
სფერი ეკრანი" (მ.).







მხატვრის ღიმილი

უსიტყვოდ

ი. ყეინიშვილის, ვ. კუციას და ლ. მართაშვილის ნახატები.

სარვამარტოდ თქმული

● **სამშობლოს** ქალნი იცავენ, რაკი დამცველებს ზრდიანო.

● **შვილიანი** ირჯებოდა, უშვილო კი ისჯებოდა.

● **რძალმა** რძალი მოიყვანა და დედამთილს ფერება დაუწყო..

● **ალმაზდელო!** კარგი რთველი კარგმა მოვლამ იცისო.

ვ. ჯავრიშვილი.

სხარტულა

— **ჩემი** ქმარი აუტანელია, შინ ყოველთვის გვიან ბრუნდება, თანაც შეზარხოშებული, ხელფასიც არ მოაქვს, წონაში უკვე ათი კილოგრამი დავიკელი. — შესჩივლა ქალმა მეგობარს.

— მართლა, შე საბრალოვ! მერედა, აგრე რად ეწამები, რატომ არ გაეყრები?

— საქმე ის არის, რომ... კიდევ ორი კილოგრამის დაკლება მინდა.

* * *

ცნობილი კინომსახიობი ქალის საუბრიდან:

— კმარა ჩემზე ლაპარაკი, ახლა თქვენს შესახებ ვისაუბროთ. მიამბეთ, გეთაყვა, როგორ მოგეწონეთ უკანასკნელ ფილმში?

* * *

ქმარი საუზმეზე მაგიდასთან გაზეთში თავჩარგული იჯდა. ცოლმა ყავა მიართვა. მოსვა თუ არა, აღშფოთებით წამოიძახა:

— ხომ იცი, რომ შაქრიანი ყავა არ მიყვარს.

— ვიცი, მაგრამ შენი ხმის გაგონება მინდოდა.

— **შეიძლება** თქვენი უფროსის ნახვა? — იკითხა ქალმა მისაღებში.

— რა თქმა უნდა! — მიუგო მდივანმა, — დაუყოვნებლივ მიგიღებთ. იგი მშვენიერ ქალებს არასოდეს ალოდინებს.

— ჩინებულია! გადაეცით, თქვენი ცოლი მოვიდა-თქო.

* * *

ქმარი: პირდაპირ საოცარია, რა უხეიროდ არის განათებული ეს ქუჩა!..

ცოლი: განა დიდი ხანია მას შემდეგ, ჩვენს ქორწინებამდე სახლში რომ მაცილებდი და ბუზღუნებდი, აქ საღამოობით დღისავით სინათლეაო!..

გერმანულიდან თარგმნა
შ. ამირანაშვილმა.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 08136 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.